პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წლიწადი მეხუთე

კომუნისტი

[illegible]

ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ., წ. არ. და მატრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

რედაქცია
ტფილისი, რუსთველის პროსპექტი
№ 24, მეორე სართული.

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.
ტელეფონ. ნომრები: რედაქტორის 14—76, მდივანის 10—58.

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთველის პრ. № 24,
ტელეფონი 14—76.

წლის მოწერის თვიური ფასი: ქალაქში—13.000.000 მ. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის—14.000.000 მან. კოლექტ. წლის მოწ. 10.000.000 მ. განცხადება 15 კ. ჩერვონცებით ნომპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 4 მან. ჩერვონცებით.

დ ღ ი უ რ ი

სასამართლომ გაამართლა ამხ. ვოროვსკის მკვლელები.

საბჭოთა რუსეთთან მოლაპარაკების [illegible] დი ბაუნვია ხაკითხების პირდაპირ გადაჭრა.

კომინტერნმა მთელი ქვეყნის მუშებისადმი გამოუშვა მოწოდება, რომელშიაც აღნიშნავს გერმანიის და პოლონეთის უკანასკნელ ამბების მნიშვნელობას.

სურსათის გაძვირების ნიადაგზე ბერლინში კიდევ მოხდა დარბევა.

დაჟინებით ამბობენ შტრეზემანის მოსალოდნელ გადადგომის შესახებ.

№ 266 კვირა, 18 ნოემბერი 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 500.000 მან. № 266

ლოზანას კომედიის დასასრული

სასამართლოს კომედია, რომელსაც თამაშობდენ თითქმის ორი კვირის განმავლობაში შვეიცარიის ყველაზე უფრო კონსერვატიული კანტონის კონსერვატიულ ქალაქში, ლოზანაში, გათავდა. ჩვენი მკითხველები იპოვიან დღეს გაზეთში გერმანული რადიოთი ლოზანიდან გადმოცემულ ცნობას იმის შესახებ, რომ შვეიცარიის სასამართლომ გაამართლა ამხ. ვოროვსკის მკვლელი, ფაშისტი კონრადი და მისი დამხმარე, რუსი თეთრგვარდიელი ემიგრანტი, პოლუნინი. სხვანაირი [illegible]ლი ამ საქმის ძნელათ წარმოსადგენიც იყო.

ვინ ასამართლებდა ან რა პირობებში ასამართლებდენ ამხ. ვოროვსკის მკვლელს?

ამხ. ვოროვსკი მოჰკლა ევროპის ბურჟუაზიამ დაქირავებულის ხელით, თეთრგვარდიელთა ემიგრაციის ხე[ლი]ს შეწყობით და შვეიცარიის [ხე]ლისუფლების წარმომადგენელთა [ფა]რული დახმარებით. ამნაირათ საბ[ჭო]თა ქვეყნების წარმომადგენლის [ს]ისხლში ხელები აქვთ გათხუპნული ევროპის ბურჟუაზიის ოფიციალურ და [ა]რა ოფიციალურ ბრწყინვალე წარმომადგენლებს. და სწორედ ესენივე [ა]სამართლებდენ კონრადის. ამნაირათ გამოდის ისე, რომ მკვლელები ასამართლებდენ მათი ნება-სურვილის [შე]მსრულებელს, ამხ. ვოროვსკის ფაქტიურ მკვლელს და რომელ ჭკუათა მყოფ ადამიანს მოუვა თავში აზრი თავის თავის გამტყუნების ან, მით უფრო, დასჯის. ეს ერთი უმთავრესი მხარე „მიუდგომელი იუსტიციის“ დასახასიათებლათ. არა ნაკლებ მნიშვნელოვანია ის პირობები, რომლებშიც ვითარდებოდა პროცესი, ატმოსფერა, რომლითაც მოცული იყო [პროცე]ს.

თუ სადმე არის შვეიცარიაში რეაქციონური და მეშჩანური—ის თავს იყრის პირველ ყოვლისა ვოს (Vaud) კანტონში და პოულობს საუკეთესო გამოხატულებას და ხელმძღვანელობს [მი]ს ცენტრში, ლოზანაში. თუ სადმე [ქო]ნდა ევროპაში და კერძოთ ამ [მე]შჩანურ ქვეყანაში გასავალი ყოველ[ნაი]რ ჭორებს საბჭოთა რუსეთის და [illegible] მოღვაწეთა შესახებ—ისევ აქ. ათასნაირი საშინელება იყო მოგონილი, გამოცდილ დემაგოგების მიერ და პრესის საშუალებით გავრცელებული, რათა დაემახინჯებიათ ჭეშმარიტი სახე რუსეთის ცხოვრებისა და შეცდომაში შეეყვანათ საზოგადოებრივი [აზ]რი კომუნისტების შესახებ. ეს—რაც შეეხება ადგილობრივ პირობებს შვეიცარიის ფარგლებში. მარა საჭიროა აღინიშნოს კიდევ ის გარემოებაც, რომ პროცესი მიმდინარეობდა შორს რუსეთიდან, დაინტერესებული მხარის, მთავრობის, რეალური გავლენის გარეშე. და ეს იმ ურთიერთობის გამო, რომელიც დამყარდა ამხ. ვოროვსკის მკვლელობის შემდეგ რუსეთსა და შვეიცარიის შორის. თუ ამას მივუმატებთ იმასაც, რომ თეთრგვარდიელთა ემიგრაციამ, დაინტერესებულმა ევროპის ბურჟუაზიასთან ერთათ კონრადის გამართლებაში, მოახდინა მობილიზაცია ყველა თავისი ძალებისა და რესურსების და რომ მას ხელს უწყობდა, როგორც ვთქვით, დიდი ხნით ხელოვნურათ შექმნილი ატმოსფერა რევოლიუციონური რუსეთის წინააღმდეგ—ყოველივე ამის შემდეგ არავის გაუკვირდება პროცესის ასეთი ბოლო.

მიუხედავათ ამისა პროცესმა ითამაშა უდიდესი როლი ევროპის მასშტაბით, რადგან, განსაკუთრებით უკანასკნელი კვირის განმავლობაში, საზოგადოებრივი აზრისთვის გამოირკვა ბევრი ისეთი რამ, რაც წინეთ მისთვის დამალული ან გაუგებარი იყო. პირველათ შეებნენ ამ მეშჩანურ ჭაობში ყველას დასანახათ ორი მსოფლიო. დემაგოგების მიერ გაბრუებულმა საზოგადოებამ გაიგონა მოწინააღმდეგეთა აზრიც იმის შესახებ, რაც მოხდა და ხდება რუსეთში. აღსანიშნავია ამ მხრით დენიკინის ჯარის კორპუსის სარდლის და ყირიმის სამხედრო გუბერნატორის, დობროვოლსკის და 1918—1920 წლებში ციმბირში მყოფ ამერიკელი მაიორის გრევსის ჩვენება იმ საშინელებათა შესახებ, რომლებიც თავზე დაატეხეს მოსახლეობას თეთრგვარდიელებმა სამოქალაქო ომების დროს.

აღსანიშნავია ამასთან ერთათ სამოქალაქო მომჩივანის დიკერის გამოსვლა, რომელიც ფარდას ხდის მკვლელის ვინაობას და რომლის სიტყვამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა შვეიცარიაში და მის გარეთ.

ამნაირათ პოლიტიკური მხარე პროცესის, მიუხედავათ არახელსაყრელ პირობებისა, საკმაოთ გარკვეული დარჩა. არსებითად კი სასამართლოს განაჩენი წარმოადგენს გამოწვევას საბჭოთა კავშირისადმი. პროლეტარიატი არ შეარჩენს არავის თავისი მებრძოლების ვერაგულათ მოკვლას, ის შურს იძიებს თავის მოსისხლე მტრებზე.

გერმანიაში

მდგომარეობა გერმანიაში დღითი-[დღ]ე უფრო რთულდება და იწვევა. ეკონომიურმა კრიზისმა უკიდურეს საზღვარს მიაღწია.

ქალაქებში სურსათის დიდი ნაკლებობაა. მუშა-მოსამსახურენი და მცირე შეძლების ხალხი პირდაპირ სიმშილობენ. მემამულეები და სოფლის კულაკები ქალაქებს არ აწვდიან სურსათ-სანოვაგეს. მსხვილი მრეწველი[ები] სტინესის მეთაურობით შეუთანხმდენ აგრარიების კავშირს ქალაქის მოსახლეობის მომარაგების შეწყვეტის შესახებ.

მარკა არაფრად ფასობს. მუშებს [ე]რთო პურის სამყოფი ხელფასიც [არ] ეძლევათ.

სიძვირე საარაკოდ იზრდება. მუშათა კლასი სიმშილით ამოწყვეტის [უ]შუალო საფრთხის წინაშე დგას.

„გერმანიის მშრომელთა დამხმარე [ლი]გის“ სახელზე მიმართულ წერილში მუშათა საერთაშორისო დახმარების კომიტეტის მდივანი ამბობს: „[გერ]მანიის მუშების მდგომარეობა [კატ]ასტროფიულია. დაბეჯითებით [გთ]ხოვთ ნუ იცდით ერთ ზედმეტ [წამ]საც გერმანიის მუშებისა და ბავ[შვებ]ისათვის რუსეთის დახმარების [illegible]ისაწოდებლად“.

ასეთი გაჭირვების ნიადაგზე ხდება მუშების მასიური გაფიცვები. [ბ]ერლინში გაფიცული არიან მეწისქვილე მუშები, რიცხვით 25 000 კაცამდე. აგრეთვე გაიფიცნენ ბერლინის ასოთ-ამწყობები. მათ წინააღმდეგ სასტიკ რეპრესიულ ზომებს იღებენ. უკანასკნელთა გაფიცვა ჩაიშალა [მ]ოღალატე სოციალ-დემოკრატების [წყ]ალობით.

[ბ]ერლინის პოლიციის უფროსი, სოციალ დემოკრატი გზავნის გაფიცულთა ადგილებზე უმუშევრებს. უკანასკნელებს ის ემუქრება დახმარების შეწყვეტით, თუ შტრეიკბრეხერობას [არ] გასწევენ.

[უ]მუშევართა რაოდენობა კოლოსალურ ციფრს აღწევს, უდრის სამ მილიონ კაცს. უმუშევრები მრავლდებიან როგორც საერთო ნგრევით გამოწვეულ ფაბრიკა-ქარხნების დახურვის [ნია]დაგზე, ისე მრეწველების ლოკაუტის გამო.

ქვეყნის შინაური პოლიტიკური მდგომარეობა უაღრესად დაძაბულია. დღე-დღეზე მოელიან შტრეზემანის კაბინეტის დაცემას. მთელი ძალა-უფლება მენშევიკ ებერტმა გადასცა ფაშისტს, გენერალ ფონ-სექტს, რომელიც არის გერმანიის ფაქტიური და ფორმალური დიქტატორი. საიმპერიო მთავრობა ქაღალდზე არსებობს. თვით შტრეზემანის კაბინეტმა, ებერტის ლოცვა-კურთხევით, მოუმზადა ნიადაგი ფაშისტურ დიქტატურას. უკვე გამოქვეყნებულ ცნობის მიხედვით, ბერლინის მთავრობა იღებდა მნიშვნელოვან თანხას არალეგალურ ფაშისტურ სამხედრო რაზმების შესანახად.

და გასაკვირი არ არის, რომ ფაშიზმი თანდათან მაგრდება მთელ გერმანიაში. სექტმა მიითვისა მთავრობის და რეიხსტაგის ფუნქციები. მან, სხვათაშორის, გამოსცა განკარგულება, რომლის თანახმად გერმანიის ცალკე სახელმწიფოებს ეძლევათ უფლება დამოუკიდებლად დაამზადონ სურსათი და გამოუშვან ფულის ნიშნები, რომელთაც ექნებათ მსვლელობა საერთო ვალიუტასთან ერთად ეს კერძოდ გაქარწყლება შტრეზემანის მუქარისა, რომ ის შეუწყვეტს ბავარიას ფულის მიწოდებას, თუ განაგრძობს ურჩობას ბერლინის მთავრობის მიმართ. ამიერიდან ფაშისტური ბავარია სრულიად დამოუკიდებლად გრძნობს თავს. ჩახშობა ჰამბურგის აჯანყების, განადგურება წითელ საქსონიის და ტიურინგიის, ამავე დროს მფარველობა ფაშისტურ ბავარიას—ეს ყველაფერი ნათლად აშკარავებს საიმპერიო მთავრობის სულისკვეთებას.

ამასთან აღსანიშნავია გერმანიის საგარეო მდგომარეობის გართულება. საფრანგეთი მოითხოვს სამხედრო კონტროლის აღდგენას გერმანიაში, რევანშის აჩრდილის შიშით. ეს მოთხოვნა ჯერჯერობით უარყოფილ იქნა. პუანკარე იმუქრება გერმანიის ახალი ოლქების, პირველ ყოვლისა ჰამბურგის დაკავებით.

27 ნოემბრისათვის განზრახულია რეიხსტაგის მოწვევა, გერმანიის შინაურ და საგარეო მდგომარეობის განსახილველად.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ გერმანიის პარლამენტი და მისი მთავრობა ვერ შესძლებენ ქვეყნის გამოყვანას იმ ჩიხიდან, რომელშიც ის არის მომწყვდეული.

ერთად ერთი ძალა, რომელსაც შეუძლია გერმანიის ხსნა, ესაა რევოლიუციონური პროლეტარიატი და მისი წინამძღოლი კომუნისტური პარტია.

გერმანიის მუშათა კლასს თავისი მთავარი ძალები ჯერ არ ჩაუბამს გენერალურ ბრძოლაში ბურჟუაზიასთან. ჰამბურგის, საქსონიის, ტიურინგიის ამბები და მუშათა კლასის ნაწილობრივი გამოსვლები სხვაგან—ეს მხოლოდ წინასწარი შეტაკებებია. კომუნისტური პარტია, მიუხედავად მისი გაუგონარი დევნისა, მიუხედავად იმისა, რომ ის გადასულია არალეგალურ მდგომარეობაზე, აწარმოებს უდიდეს მუშაობას გერმანიის მთელი მშრომელი მასის მობილიზაციისათვის.

ამ გზაზე მას ეღობება გერმანიის სოციალ-დემოკრატია, რომელიც ისევ ბურჟუაზიასთან კოალიციაზე ოცნებობს.

კომპარტია შეუბრალებლად ამხელს მენშევიკების მოღალატეობას, და მუშათა კლასიც თანდათან თავისუფლდება მათი ტყვეობიდან. ის რწმუნდება, რომ გამოსავალი დღევანდელ მდგომარეობიდან მხოლოდ გადამწყვეტ ბრძოლაშია.

კომპარტია მძლავრად შეიჭრა პროფკავშირებში, მათში თავმოყრილი მასა ირაზმება მის გარშემო.

კომპარტიის ინიციატივით ვეიმარში უნდა შეიკრიბოს პროფკავშირების კონფერენცია. მიუხედავად იმისა, რომ სოციალ დემოკრატიის ცენტრალური ორგანო „ფორვერტს“-ი ილაშქრებს ამ კონფერენციის წინააღმდეგ,—ისეთ პროფკავშირებმაც კი, სადაც უმრავლესობას სოციალ-დემოკრატი მუშები შეადგენენ, განაცხადეს სურვილი ამ კონფერენციაში მონაწილეობის.

სხვათაშორის, ეს გარემოებაც მოწმობს, თუ როგორ ეცლებათ მენშევიკების ზედაწრეებს ფეხიდან ნიადაგი თვით მათ მიმდევარ მუშებში.

კომუნისტურმა პარტიამ უნდა გადალახოს მენშევიკების მიერ შექმნილი დაბრკოლებები. მოვლენათა მსვლელობა გვიჩვენებს, რომ ის ამას მოახერხებს და თავის დროშის ქვეშ დააყენებს გერმანიის მთელ პროლეტარიატს და მშრომელ მასას. და მაშინ ის კიდეც ჩაებმება გენერალურ ბრძოლაში.

ეს მომენტი შორს არ არის.

წერილები მოსკოვიდან

(საკუთარი კორესპონდენტისაგან)

რუსეთის ცაკის მესამე სესია

4 ნოემბერს გაათავა თავის მუშაობა რუსეთის ცენ. აღმ. კომიტეტის მე-3 მორიგ სესიამ. სესიაზე დასმული იყო შემდეგი საკითხები: 1) ფინანსთა კომის. მოხსენება ადგილობრივი ფინანსების შესახებ; 2) ურალის ოლქის რაიონებათ დაყოფა; 3) დებულება საოლქო და სარაიონო აღმასკომების შესახებ; 4) სავეტერინარო კოდექსი; 5) მოხსენება თურქესტანის ცენ. აღმ. კომ. მოქმედების შესახებ; 6) ჯანმრთელობის კომისარიატის მუშაობის ანგარიში; 7) საგუბერნიო აღმასკომების გამარტივების შესახებ.

სესია გაიხსნა 29 ოქტომბერს. პირველი მოხსენება გაკეთებულ იქნა ამხ. ვლადიმიროვის მიერ ადგილობრივი ფინანსების შესახებ. მოხსენება შეიცავდა შემდეგს: აქამდი ადგილობრივ ფინანსებს არ ქონდა გარკვეული ხასიათი. ადგილობრივმა ორგანოებმა არ იცოდნენ, თუ რა იყო მათ განკარგულებაში და რა ცენტრის. „სამხედრო კომუნიზმის“ დროს მთელი რესურსები ცენტრის განკარგულებაში იყო. ახალ. ეკონ. პოლიტიკის შემოღების შემდეგ იწყება დეცენტრალიზაცია, როგორც მრეწველობის, ისე ფინანსების. საბჭოთა ხელისუფლების პირობებში არ უნდა ქონდეს ადგილი ძველ ეროების ტრადიციას, როცა ადგილობრივ ბიუჯეტს უპირდაპირებდენ საერთო სახელმწიფოსას. ადგილობრივი ფინანსების შექმნა ემყარება იმ პრინციპს, რომ ის მოთხოვნილებები, რომელნიც დაკავშირებულია ადგილობრივ მცხოვრებლების საჭიროებასთან და რომელნიც არ არიან მთელი კავშირისათვის საერთო, უნდა გადატანილ იქნან ადგილობრივ ბიუჯეტზე, ადგილებზე უნდა გადატანილ იქნას, როგორც ხარჯის ნაწილი, ისე შემოსავლისაც. ფინანსთა კომისარიატი თანდათანობითი გადადის დამოუკიდებელ ადგილობრივ გადასახადებიდან საერთო სახელმწიფო გადასახადზე, საიდანაც ადგილების განკარგულებაში დატოვებული იქნება განსაზღვრული (საგრძნობელი) ნაწილი. ასეთი წესით ადგილობრივი ორგანოები დაინტერესებული იქნებიან გადასახადის კამპანიის გატარებაში.

ამასთანავე ფინანსთა კომისარიატი გადადის გადასახადების რაოდენობის ზრდის დროებით შეჩერებისაკენ, რომ ფრიად დიდმა გადასახადებმა არ შეაფერხოს სახელმწიფოს ეკონომიური განვითარება. ზოგიერთი გადასახადები, როგორც მაგალითად მარილზე, შაქარზე და სხვა, შემცირებული იქნენ.

დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ეგრედ წოდებულ არა გადასახადის ხასიათის (не налогового характера) შემოსავალს, ადგილობრივი კომუნალურ წარმოებებიდან, კონფისკაციით ჩამორთმეულ უძრავ ქონებიდან (მიწა, შენობები, საიჯარო სახლები), ტყეებიდან და სხვა. ომამდე ასეთი შემოსავალი აღწევდა 2 მილიარდს, გასულ წელში კი აღებული იქნა მხოლოდ 55 მილიონი.

ადგილობრივი ბიუჯეტის მტკიცე სტრუქტურის შესაქმნელად წესდება განსაზღვრული ნუსხა ადგილობრივი შემოსავლის და გასავლის შესახებ, რომლის ფარგლების გადაბიჯება არ უნდა იქნეს დაშვებული.

თავდება ადგილობრივი და ცენტრალური ქონების გამიჯვნა, რის შემდეგ გარკვეული იქნება, რა ეკუთვის ადგილობრივ ორგანოებს და რა ცენტრალურს.

ფინანსთა კომისარიატის მუშაობის პერსპექტივებს ახლო მომავლისათვის შეადგენს: შემოსავალზე გადასახადის გადასინჯვა; საწარმოვო დაწესებულებებიდან სახელმწიფოს მიერ პროცენტის მიღება იმ თანხებზე, რომელიც ეძლევა ცალკე წარმოებათ; მიწაზე რენტის შემოღება (ძირითადი, სახელმწიფოს სასარგებლოთ და დამატებითი, ადგილობრივი ორგანოების სასარგებლოდ).

ადგილობრივ ბიუჯეტის შექმნის დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სათემო ბიუჯეტის შექმნას, რათა საბჭოთა ხელისუფლების ადგილობრივ, სოფელთან დაკავშირებულ ორგანოს მიეცეს საშუალება სათანადო პირობებში მუშაობისა. საგუბერნიო აღმასკომები ყველა შემოსავალს არ უნდა ეზიდებოდენ საგუბერნიო ცენტრში.

ახლო მომავალში უნდა განმტკიცდეს საბიუჯეტო დისციპლინა; უწყებები და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები უნდა ეწეოდენ ხარჯს ბიუჯეტის ფარგლებში. უნდა გაგრძელებული იქნეს მუშაობა სახელმწიფო აპარატის გამარტივების მხრივ და ამით შემცირდეს გასავალი.

ამხ. ვლადიმიროვის მოხსენების შესახებ რეზოლიუციის გასამუშავებლად ამორჩეული იქნა კომისია. კომისიის მიერ მიღებული დებულებანი და შესწორებანი, სესიამ გადასწყვიტა გადასცეს საკავშირო ცენ. აღმ. კომ. სესიას გასარჩევათ და მისაღებათ, ვინაიდან ადგილობრივი ფინანსების საკითხის მნიშვნელობა საჭიროდ ხდის მის საკავშირო მაშტაბით ჩატარებას.

შემდეგი მოხსენება გაკეთებული იქნა ამხ. საპრონოვის მიერ საოლქო და სარაიონო საბჭოების ყრილობების და მათი აღმასკომების დებულების შესახებ, ახალი ადმინისტრატიული დაყოფის გამო. ჯერ-ჯერობით ეს დაყოფა ტარდება მხოლოდ ურალის ოლქში სამაგალითოდ და მისი შედეგების მიხედვით გადაწყვეტილი იქნება საკითხი მთელი რუსეთის ამ წესით დაყოფისა. ახალ ადმინისტრატიულ დაყოფას მხედველობაში აქვს თემის (волость) გადიდება და რაიონათ გადაქცევა, რამოდენიმე მაზრების შეერთება ოლქის სახით და რამოდენიმე გუბერნიის გაერთიანება. გარაიონების შემდეგ ზემოთ ჩამოთვლილი ორგანოების უფლება იზრდება, იმასთან შედარებით, რაც ქონდა აქამდე გუბერნიის, სამაზრო და სათემო აღმასკომებს.

სესიის მიერ მიღებული იქნა სავეტერინარო კოდექსი, რომელიც წარმოადგენს ნორმებს საქონლის გადამდებ ავადმყოფობის გავრცელების წინააღმდეგ საბრძოლველათ და სავეტერინარო საქმის მოწესრიგების შესახებ.

თურქესტანის ცენ. აღ. კომ. მუშაობის შესახებ სესიამ მიიღო დადგენილება: მიეცეს წინადადება რუს. ცენ. აღ. კომ. პრეზიდიუმს იხმაროს ყოველგვარი ზომები თურქესტანის მეურნეობის განსავითარებლად.

ჯანმრთელობის კომისარიატის მოქმედების ანგარიშში ამხ სემაშკომ აღნიშნა, რომ ეპიდემია ამ ბოლო დროს საგრძნობლათ შემცირდა. საჭიროა ბრძოლა, რომ ის არ გამეორდეს, რისთვისაც უნდა გაძლიერებული იქნას სანიტარული აპარატი,

საერთო ჯანმრთელობის საქმეში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მუშების ჯანმრთელობის დაცვას. მოსკოვში მოეწყო სპეციალური ინსტიტუტი სოციალური და პროფესიონალური ავადმყოფობის შესწავლის მიზნით ინსტიტუტის მიერ შესწავლილი იქნება შრომის პირობები საზიანო წარმოებებში და მიღებული იქნება ზომები საზიანო მომენტების წინააღმდეგ. თუ როგორი გავლენა აქვს შრომის პირობებს ჯანმრთელობაზე, მომხსენებელმა მოიყვანა ციფრები ქარხნებში ჩაბმულ მოზარდების გასინჯვის შესახებ. მოსკოვის წარმოებებში ჩაბმულ მოზარდთა 34 პროც. ავათ ყოფილა ჭლექით, 22 პროც.—ჭლექით დაავადმყოფების კანდიდატებათ და მხოლოდ 10 პროც. ჯანმრთელები.

ბავშვთა ჯანმრთელობის დასაცავად ყურადღება აქვს მიქცეული არა მარტო დაავათმყოფებულ ბავშვების ექიმობას, არამედ მათ ორგანიზმის გამაგრებას. შექმნილია ცენ. აღ. კომ. ფიზიკური კულტურის საბჭო. საერთოდ, ჯანმრთელობის მხრივ, ბევრი კეთდება არა მარტო პირდაპირ ავათმყოფობასთან ბრძოლისათვის, არამედ საზოგადოებრივი ცხოვრების და შრომის გაჯანსაღებისათვის.

ხ. ვ.

მოსკოვი, 5 ნოემბერი

ყოფილ მენშევიკების ყრილობის წერილი ნოე ჟორდანიასადმი

ჩვენო დიდათ პატივცემულო და საყვარელო მასწავლებელო ნოე!

შენთვის ალბათ მოულოდნელია ჩვენი ასეთი მომართვა. მაგრამ ამ ისტორიულ მომენტში, როცა ათეულ წლობით დაქსაქსული ქართველი მშრომელი ხალხი მთლიან ოჯახს უბრუნდება, როცა იქმნება ერთი ფრონტი კაპიტალისტურ სამყაროს წინააღმდეგ, შენი ჩვენთან ყოფნა მეტად სასურველი და სასარგებლოა. მუშათა კლასს და მოწინავე გლეხობას, როგორც საქართველოში, ისე ამიერ-კავკასიაში, ყოველთვის ახსოვს შენი სახელი, როგორც იშვიათ მასწავლებლის და საამაყო ლიდერის. მისი შენდამი სიყვარული განუსაზღვრელი იყო და არის. ამიტომ უნდა მას, რომ ჭირშიც და ლხინშიც თან გიყოლიოს.

ამხანაგო ნოე, საქართველოს გასაბჭოება ისე მოულოდნელად და პატარა ხნის განმავლობაში მოხდა, რომ ჩვენ ვერ მოვასწარით დაფიქრება, საერთო აზრის, სულისკვეთების ერთმანეთისთვის გაზიარება და ისე მოქმედება. საქართველოს მთავრობის და განსაკუთრებით შენი საზღვარ-გარეთ წასვლა საბედისწერო დარჩა საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიისათვის.

ახალმა ხელისუფლებამ ჩვენში ბევრი რამ ახალი მოიტანა. აქედან, გულახდილად უნდა გითხრათ, ამხანაგო ნოე, რომ თუ რაიმე შევიწროებას და შეწუხებას ჰქონდა ადგილი, ეს მშრომელ მასას სრულიად არ შეხებია, არამედ თავს დაატყდა განსაკუთრებით საქართველოში მცხოვრებ შეძლებულ ელემენტებს. მაგრამ პარტიის დისციპლინის თანახმად, ჩვენ გავაჩაღეთ იატაკქვეშ ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ამის შემდეგ ჩვენს ბრძოლას ისეთივე ბრძოლით უპასუხა ახალმა ხელისუფლებამ, როგორც ეს მის ბუნებას სჩვევია და მრავალი ჩვენი ამხანაგები ციხეებში მოექცნენ. მხოლოდ ამ მხრივ და როცა ჩვენ ვაძლევდით ამის სრულ საბუთს, ხდებოდა მუშათა კლასის ერთი ნაწილის დევნა, რომელიც ჩვენს პარტიაში ირიცხებოდა. მაგრამ ორ-ნახევარ წლის დაკვირვებამ დიდი გარდატეხა მოახდინა ჩვენი პარტიის მშრომელთა რიგებში. ერთი მხრივ ჩვენ ვრწმუნდებოდით ბრძოლის უნაყოფობაში, მეორე მხრივ კი სამხედრო კომუნიზმის დასრულება და საბჭოთა აღმშენებლობის ახალი ხანა მეტსა და მეტს გარანტიას ჰქმნიდა მშრომელი ხალხისათვის ყველა საზოგადოებრივ ეკონომიურ და პოლიტიკურ კითხვებში. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენში დღეს, როგორც საზოგადო სოციალური უბედურება, ადგილი აქვს სხვა ქვეყნებთან შედარებით უფრო ნაკლებ უმუშევრობას, მუშათა კლასის ეკონომიური მდგომარეობა გაცილებით უფრო კარგია, ვიდრე ეს რევოლიუციის შემდეგ სხვა რომელიმე დროს იყო. ეროვნული კითხვა ისე გადასჭრა კომპარტიის მე 12 ყრილობამ და ჩვენში, ადგილობრივ, ისე მტკიცედ ტარდება ის ცხოვრებაში, რომ ამით სავსებით კმაყოფილია ქართველი ინტელიგენციაც კი. რაც შეეხება მუშათა სამკურნალო დახმარებას, აქაც დიდი მუშაობა სწარმოებს. დასასვენებელი სახლების დიდი ნაწილი ჩვენს აგარაკებზე მუშებით არის სავსე. შრომის ყველა კანონები მტკიცედ ტარდება ცხოვრებაში და ჩვენს სასარგებლოდაა მიმართული. სწავლა-განათლების საქმე ისეა დაყენებული, რომ მეტს არავინ ჩვენთაგანი არ მოითხოვს. მუშათა ფაკულტეტები, პარტიული სკოლები, უნივერსიტეტების პროლეტარიზაცია და სხვა ჩვენს პირობებში ამაზე უფრო მეტს, მუშათა კლასის ეკონომიური და მოქალაქობრივი უფლებებს უზრუნველყოფის მხრივ, ვერავინ ვერსად შესძლებდა.

შეიძლება შენ მოგდის ინფორმაცია აქაურ მდგომარეობის შესახებ, მაგრამ გარწმუნებთ, რამდენათაც შენ ანგარიშს გაუწევ ჩვენ მუშურ სიტყვას და რევოლიუციონურ წარსულს, ის ერთობ ცალმხრივი და ტენდენციური იქნება.

და, როცა ყოველივე ეს თვალსაჩინო გახდა ჩვენი პარტიის მშრომელ ნაწილისათვის, ის თანდათან გადმოვიდა პროლეტარიატის დიქტატურის პლატფორმაზე. დღეს საბჭოთა ხელისუფლებას საქართველოში დიდი თანაგრძნობა აქვს და განსაკუთრებით ეს ემჩნევა მუშათა წრეებს. ამის შემდეგ ჩვენთვის აშკარა შეიქნა, რომ საბჭოთა ხელისუფლების დამარცხება საქართველოში და მის ნანგრევებზე ჩვენი ძალაუფლების რესტავრაცია ისეთი ბოროტება იქნებოდა მუშათა კლასის წინააღმდეგ, რომელიც ჩვენ ადრე თუ გვიან დაღუპვის უფსკრულში გადაგვისვრიდა და რასაც ისტორია არასოდეს არ გვაპატიებდა. რაც შეეხება ოქტომბრის რევოლიუციის დამარცხებას რუსეთის ფარგლებში—ეს პირწმინდა რეაქციის გაბატონებას დაედრებოდა, რაც შენც ხშირად გითქვამს ჩვენთვის.

ჩვენ დიდი მსხვერპლი გავიღეთ ამ ორნახევარ წლის ბრძოლაში, მაგრამ დავრწმუნდით, რომ ისტორია ამისთვის მადლობას არ გვეტყოდა. ის მდგომარეობა, რომელსაც აწყობს არალეგალური ცეკა, სრულიად არ ეკარება მუშის გულსა და სულს. დღეს სოც.-დემოკრატიულ პარტიის საქმე და სიტყვა სავსებით ასცდა მარქსისტულ თეორიაზე დაყრდნობილ რევოლიუციონურ ბრძოლას, რომელიც მას თავიდანვე ახასიათებდა. მუშები და გლეხები ასობით და ათასობით სტოვებენ პარტიას, არალეგალურ ცეკამ ვერც ერთი ლოზუნგი ვერ გადმოისროლა (გარდა ავანტიურისტულ ბრძოლისა), რომლის გარშემოც შესძლებოდა ამ პარტიის მშრომელ ელემენტს შემჭიდროება და დარაზმვა. პარტიის რიგები თანდათან თხელდებოდა და დღეს ფაქტია, რომ 12 (თორმეტი) ათას მუშამ და გლეხმა სამუდამოდ დასტოვა მისი რიგები. ამ რიცხვის გარდა, საგრძნობი ნაწილი ამხანაგების, რიცხვი 5 (ხუთი) ათას კაცამდე, რომელთაც დიდი რევოლიუციონური წარსული აქვთ, სავსებით ჩამოშორდა პოლიტიკურ ცხოვრებას და სრულ ნიჰილიზმს მისცა თავი. როგორც შენ არაერთხელ გითქვამს, ამხანაგო ნოე, ეს ხალხი იყო პარტიის აქტივი რევოლიუციის შემდეგ. რევოლიუციამდე-კი მხოლოდ ამათგან შესდგებოდა სოც.-დემოკრატიის რიგები და მხოლოდ ამათ ზურგზე გადადიოდა რეაქციასთან ბრძოლის მთელი სუსხი. 1917 წლის შემდეგ ჩვენი პარტია გასივდა და ავადმყოფურად გაიბერა, მისკენ მოილტვოდა და მას შემოეხიზნა, როგორც გაბატონებულ პარტიას, ყველა გამვლელი და ბედის მაძიებელი ადამიანი. რაც შეეხება რევოლიუციის შემდეგ ჩვენთან მოსულ მუშებსა და გლეხობას, რომლებიც მომეტებით ახალგაზრდები იყვნენ, დღეს ისინიც ჩვენთან არიან, ე. ი. სავსებით სდგანან პროლეტარიატის დიქტატურის პლატფორმაზე. პარტიის ასეთი დაშლა—შეიძლება შენ რეპრესიების ნაყოფი გეგონოს, მაგრამ სად გაგონილა, რომ რეპრესიებს ასეთი მასიური გადახრა შეექმნას რომელიმე პარტიის სულისკვეთებაში, ან რატომ სხვა დროს არ ვუფრთხოდით ჩვენ რეპრესიებს. ესე რომ არ იყოს, ჩვენი გვარებით და ვინაობით შენ გაიგებ, რომ ძალდატანება ჩვენში ვერ მოახდენდა აზრისა და მოქმედების შეცვლას. უკვე მოხდა სოციალ-დემოკრატიულ პარტიის სრულიად საქართველოს ყრილობა. ყრილობაზე წარმოგზავნილი იყვნენ ყველა მაზრებიდან, გარდა რაჭა-ლეჩხუმისა (სადაც არჩევნები დაგვიანდა). დელეგატთა თითქმის მთელი შემადგენლობა ჩვენი ძველის-ძველი ამხანაგები იყვნენ, რომელთაც რუსეთის კატორღის საშინელებაც გამოუვლიათ და ჩეკის სარდაფებშიც მსხდარან. ყრილობამ პარტია დაშლილად გამოაცხადა და პროლეტარიატის დიქტატურის პლატფორმა გაიზიარა. ჩვენ ზოგიერთები გვისაყვედურებენ, რომ პარტიის დაშლის შემდეგ არ ვინარჩუნებთ ცალკე ორგანიზაციის სახეს და სავსებით ვითქვიფებით კომუნისტურ პარტიის რევოლიუციონურ მასაში.

უპირველეს ყოვლისა ჩვენცა და კომუნისტებიც მარქსისტები ვართ. ამას შენ თვითონაც გვასწავლიდი. ჩვენი მსოფლმხედველობის საფუძველი ერთი და იგივეა. ის მეცნიერულ მატერიალიზმს ეყრდნობა. რაკი მოისპო ჩვენში ტაქტიკური და ბოლო დროს წარმოშობილი პრინციპიალური უთანხმოებანი, ამის შემდეგ ჩვენ საერთო პლატფორმა უნდა შეგვექმნა. მით უმეტეს, რომ ამას მუშათა კლასის მთლიანობის ინტერესები მოითხოვს. ჩვენ ვშიშობდით, რომ ცალკე პარტიის შექმნა, რაც უნდა ახლო მდგარიყო ის კომუნისტურ პარტიის პროგრამასთან, ბოლოს და ბოლოს ისეთსავე განხეთქილებამდი მიგვიყვანდა, როგორსაც ადგილი ჰქონდა სოც.-დემოკრატიულ პარტიის ორ ფრთის შორის. ყოველივე ამასაც რომ თავი დავანებოთ, ჩვენ ყველანი მუშები და გლეხები ვართ, არ გვაჩნია საამისო იდეოლოგები, რომელთაც შეეძლებოდათ ახალი გზის გამონახვა და ჩვენი იდეური ხელმძღვანელობა.

ჩვენთვის მეტად სამწუხაროა, რომ ამ საბედისწერო და საპასუხისმგებლო მომენტში შენ აქ არ იყავი. სოც.-დემოკრატიულ პარტიის მშრომელი ნაწილი ბედის ანაბარა დარჩა. მიატოვა საზღვარ-გარეთ წასულ მისმა ადრინდელმა ხელმძღვანელებმა, მას არ აკმაყოფილებდა ადგილობრივ ცეკას პოზიცია, რომლის გარშემოც ამ ხანად ათიოდე მოსწავლე ახალგაზრდობა და თითო ოროლა ჩვენი გაჯიუტებული ამხანაგობა იყრის თავს. და ამ მშრომელთა ნაწილმა ჩვენი პარტიისა, თავის სოციალურ ბუნების კარნახით დააღწია თავი ბურუსს.

ჩვენ, რომლებიც ათეულ წლობით შენთან ვიყავით, ამხანაგო ნოე, ამ წასვლის, სამუდამო განშორების და გამომშვიდობების დროს, მოვალეთ ვრაცხთ ჩვენს თავს ამ ბარათით მოგმართოთ.

ჩვენ გვინდა, რომ შენც ჩვენს რიგში იყვე. ჩვენ არასოდეს არ დავიჯერებთ, რომ შენთვის ძვირფასი არ იყვეს ქართველი ხალხის ბედ-იღბალი, რომელსაც მთელი სიჭაბუკე და სიცოცხლე შეალიე. თუ ეს ასეა, ამ ხალხის კეთილდღეობა, მისი დღევანდელი ვითარება მოითხოვს შენს კვლავ მასთან დაბრუნებას. ჩვენ გვწამს, რომ მიუხედავათ იმ მდგომარეობის, რომელიც შექმნილია ევროპაში, მიუხედავად შენი პირადი მეგობრულ დამოკიდებულების ევროპის სხვადასხვა გავლენიან პირებთან და წრეებთან, შენ მაინც ქართველი მუშის კორძიან ხელით დაწერილ ბარათის სულს და გულს გაიგებ და კვლავ ჩვენს ბანაკში დაბრუნდები. ბევრის თქმა გვინდოდა შენთვის, მაგრამ ჩვენი ვინაობა და ამ წერილის შინაარსი საკმარისი იქნება იმისათვის, რომ გაიგო რა ხდება დღეს ქართველი მუშის და გლეხის გულში. ჩვენ ველით დიდ ნოეს კვლავ ჩვენს ბანაკში დაბრუნებას. ჩვენ გვჯერა, რომ ის იმედს არ გაგვიცრუებს.

შენი პასუხის მოლოდინში მყოფნი

ყოფილი მენშევიკების ყრილობის პრეზიდიუმის წევრები და დელეგატები (ხელის მოწერა).

---

*) ეს წერილი სრულიად საქართველოს სოც.-დემ. მუშათა პარტიის ყრილობამ გაუგზავნა საზღვარგარეთ ნ. ჟორდანიას ა. წ. 30 აგვისტოს.

სამოქალაქო ომი გერმანიაში

(„ზაკროსტა“-ს ცნობები).

იუდა ისკარიოტელები: ბერლინის მბეჭდავთა გაფიცვა ჩაიშალა სოციალ-დემოკრატების მეოხებით.

წისქვილში მომუშავეთა წარმომადგენლები, რომლებიც ხელმძღვანელობენ გაფიცვას—დატუსაღებულ იქნენ შრომის სამინისტროში.

სოციალ-მოღალატეების წინააღმდეგ: კომპარტიის ინიციატივით, ვეიმარში მოწვეული იქნება ადგილობრივ პროფკავშირთა კონფერენცია, რომელიც განიხილავს კავშირებში შექმნილ მდგომარეობას.

მიუხედავათ იმისა, რომ სოციალ-დემოკრატების „ფორვერტსი“ სასტიკად ილაშქრებს ვეიმარის კონფერენციის წინააღმდეგ,—ბევრმა პროფკავშირმა სურვილი განაცხადა მონაწილეობაზე.

დაპყრობილ ოლქებში: დორტმუნდში უმუშევრებმა მოაწყვეს დემონსტრაცია, რომელსაც პოლიციამ სროლა აუტეხა.

გერმანიის ამბების გამოძახილი: გერმანიაში შექმნილ პირობების გამო, ინგლისს შეუძლებლად მიაჩნია მოკავშირეებთან თანამშრომლობა საკონტრიბუციო საკითხში.

კომპარტიის წერილი სოციალ-დემოკრატებისადმი

საჭიროა ბრძოლა.

ბერლინი. 15 ნოემბ. კომპარტიის არალეგალურმა ორგანომ „ფოლკსბოტე“-მ გამოაქვეყნა კომპარტიის ბერლინის საოლქო კომიტეტის წერილი სოციალ-დემოკრატებისა და სრულიად გერმანიის პროფკავშირთა გაერთიანებისადმი. წერილში აღნიშნულია, რომ პროფკავშირები მოკლებული არიან გაფიცვისა და კრების უფლებას. პროფკავშირთა მუშაკებს,—თუნდაც ისინი სოციალ-დემოკრატებიც იყვნენ,—აპატიმრებენ. გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მდგომარეობა ეხლა გაცილებით უფრო მძიმეა, ვიდრე ბისმარკის დროს, და პასუხისმგებლობას ამ მდგომარეობისათვის აკისრებს გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ბელადებს და პროფკავშირთა გაერთიანების ხელმძღვანელებს, რომლებიც დახმარებას უწევენ სამხედრო დიქტატურის მეთაურებს.

წერილი მოუწოდებს სოციალ-დემოკრატებს გასწყვიტონ კავშირი თავის ბელადებთან, გაერთიანდენ კომპარტიის გარშემო და გამართონ მასიური დემონსტრაციები ფაშიზმისა და სამხედრო დიქტატურის წინააღმდეგ.

სოციალ-გამყიდველების წინააღმდეგ

პროფკავშირთა უმრავლესობა კომპარტიას მიყვება

ბერლინი 15 ნოემბ. „ფორვერტს“-ი აგიტაციას ეწევა ვეიმარის კონფერენციის წინააღმდეგ, რომელსაც იწვევენ ადგილობრივ პროფკავშირთა აღმასკომები კომპარტიის ინიციატივით. კონფერენციას მიზნათ აქვს პროფკავშირთა მდგომარეობის გარჩევა ეკონომიურ რღვევის გამო.

გაზეთი აბრალებს კომპარტიას პროფესიონალურ მოძრაობაში განხეთქილების შეტანის ცდას და პროტესტს აცხადებს კომუნისტების მიერ წამოყენებულ პროფკავშირთა გაჯანსაღების გეგმის წინააღმდეგ.

მაგრამ მზადება კონფერენციისათვის წარმატებით სწარმოებს. იმ პროფკავშირებმაც, რომლებიც უმთავრესათ სოციალ-დემოკრატებისაგან შესდგებიან, თანხმობა განაცხადეს კონფერენციაში მონაწილეობის მიღებაზე.

დარბევა ბერლინში

სასურსათო მაღაზიების დარბევა ბერლინში.

ბერლინი. 17 ნოემბერი. ფასების ახალმა კატასტროფიულმა აწევამ დიდი მღელვარება და უკმაყოფილება გამოიწვია ბერლინის მცხოვრებლებში. ქალაქის ზოგიერთ უბანში მაღაზიების დარბევა მოხდა.

ახალი მთავრობის „ძებნაში“

შტრეზემანი ბეწვზე ჰკიდია.

ბერლინი 15 ნოემბერი. შტრეზემანს თანდათან ეცლება ნიადაგი; სოციალ-დემოკრატებს განზრახული აქვთ შეიტანონ პარლამენტში შტრეზემანისადმი უნდობლობის ვოტუმი. შტრეზემანმა უარი განაცხადა სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციის პრეზიდიუმის წარმომადგენელთა მიღებაზე. ნაციონალისტების პოზიცია ჯერ გამოურკვეველია.

მთავრობის კრიზისის მწვავე პერიოდი.

ბერლინი. 14 ნოემბ. მთავრობის კრიზისი განსაკუთრებით მწვავე პერიოდში შედის. სოციალ-დემოკრატები რეიხსტაგის მოწვევას მოითხოვენ რასაც დიდი ხანია მოითხოვდნ. კომუნისტები და ნაციონალისტები. შტრეზემანი, რომელსაც ეშინია, რომ რეიხსტაგში იგი უკვე არ მიიღებს ხმათა უმრავლესობას,

ყოველგვარ ზომებით სცდილობს გააგრძელოს რეიხსტაგის მოწვევის ვადა, რასაც იგი ასაბუთებს მით, რომ მიუნხენის ამბების გარჩევამ შეიძლება გამოიწვიოს საერთაშორისო პოლიტიკურ მდგომარეობის გართულება.

დირექტორიის შექმნის გეგმა ჩაიშალა.

ბერლინი. 14 ნოემბ. პრეზიდენტ ებერტის მიერ კანცლერ შტრეზემანისთვის რეიხსტაგის დათხოვნის უფლების მინიჭება და, აგრეთვე, შტრეზემანის, ებერტის და სექტის შემადგენლობით **დირექტორიის შექმნის გეგმა ჩაიშალა.** პრეზიდენტ ებერტის მიერ გენერალ სექტის რწმუნებათა გაფართოების შემდეგ, **შტრეზემანი მეორეხარისხოვან როლს თამაშობს.**

იუდა ისკარიოტელები

მენშევიკებმა ჩაშალეს მბეჭდავთა გაფიცვა.

ბერლინი. 15 ნოემბ. **ბერლინის მბეჭდავთა გაფიცვა ჩაიშალა ბერლინის პოლიციის უფროსის სოციალ-დემოკრატ რიხტერის მეოხებით,** რომელიც დაემუქრა გაფიცულთ რომ იმ მუშებისათვის, რომლებიც უარს განაცხადებენ გაფიცულთა ადგილის დაჭერაზე, სუბსიდიის მიცემა შეწყვეტილი იქნება. მბეჭდავთა სულიერი განწყობილება მოდუნებულია. პოლიციამ დაშალა მბეჭდავთა კრება, რომელსაც უნდა გამოეტანა დადგენილება გაფიცვის შეწყვეტის შესახებ.

დაპატიმრებულია ბერლინის მბეჭდავთა კავშირის თავმჯდომარე როზერტ ბრაუნი, პოლიგრაფიულ წარმოების მუშათა კავშირის თავმჯდომარე გლოდი და აგრეთვე პროფესიონალურ კავშირების მრავალი მუშაკი. **სამხედრო სარდლობამ აკრძალა სახელმწიფო ქაღალდების დამამზადებელ ექსპედიციასთან საგაფიცვო პატრულების დაყენება, მაგრამ** ყოველივე ამის მიუხედავათ, **სახელმწიფო ექსპედიციაში 100 მანქანის ნაცვლათ მუშაობს მხოლოთ 6 მანქანა.**

მთავრობის „ზომები“

გერმანიის მოსახლეობა მცირდება.

ბერლინი. 17 ნოემბ. **სტატისტიკური ცნობების თანახმად გერმანიაში მცხოვრებთა რიოდენობა 1923 წლის პირველ ნახევარში ნახევრად შემცირდა**

სექტის პირველი გამოსვლები.

ბერლინი. 14 ნოემბ. **სამშაბათს გენერალ სექტმა გამოაქვეყნა განკარგულება, რომლის ძალით გერმანიის ცალკე სახელმწიფოებს და, აგრეთვე, ადგილობრივ თვითმართველობებს (ობშჩინებს) უფლება ეძლევათ დამოუკიდებლათ მოიმარაგონ სურსათ სანოვაგე და დროებით გამოსცენ უზრუნველყოფილი ფულის ნიშნები, რომლებსაც გერმანიის ვალიუტასთან თანასწორი გასავალი ექნება. ეს პირველი გამოსვლაა გენერალ სექტის, როგორც საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლის.**

გაფიცვა სექტის აკრძალვის მიუხედავათ.

ბერლინი. 15 ნოემბერი. მიუხედავათ იმისა, რომ სექტის მიერ აკრძალულია ყოველგვარი გაფიცვა, პირველ მოთხოვნილების საგანთა წარმოებებში, **ბერლინის წისქვილებზე გაფიცვა გამოცხადდა.**

გაფიცულია 25000 კაცი. წისქვილის მუშათა პრეზიდიუმის თავმჯდომარე და სამი წევრი დაპატიმრებული არიან მთავრობის კომისრებთან მოლაპარაკების დროს.

ძალდატანებით შეაწყვეტინეს გაფიცვა.

ბერლინი 15 ნოემბერი. **წისქვილების მუშათა საგაფიცვო კომიტეტი დაპატიმრებულია რეიხსვერის ოფიცერთა მიერ შრომის სამინისტროში მოლაპარაკების დროს.** მოლაპარაკება გაგრძელდა ოფიცრების დასწრებით, მთავრობამ აიძულა მუშები დათანხმებულიყვნენ დათმობაზე და ხელი მოეწერათ შეთანხმებაზე. მუშაობა წისქვილებში განახლდა.

თევზი წყალში გადააგდეს.

ბერლინი 15 ნოემბერს. ჰიტლერის აჯანყების ერთ ერთი მეთაური მიუნხენის პოლიციი-პრეზიდენტი პოხნერი გადაეცა ბავარიის ჩვეულებრივ სასამართლოს.

კაპიტალისტები 10 საათის სამუშაო დღის შემოღებას მოითხოვენ.

ბერლინი. 15 ნოემბერი. **რკინის და ფოლადის ინდუსტრიის წარმომადგენლებმა მოსთხოვეს შრომის სამინისტროს 10 საათის სამუშაო დღის შემოღება.**

პურის ფასი გაორკეცდა.

ბერლინი. 15 ნოემბერი. პურის ფასი ბერლინში გაიზარდა 140 მილიარდი მარკიდან 210-მდე კილოში.

დაპყრობილ ოლქებში

უმუშევართა დემონსტრაცია დორტმუნდში.

ბერლინი 15 ნოემბერი **„დორტმუნდის უმუშევრებმა დემონსტრაცია გამართეს. პოლიციასთან შეტაკების დროს დემონსტრანტები ხელის ყუმბარებს ესროდენ პოლიციელთ** პოლიციამაც სროლა აუტეხა ხალხს. დაჭრილია მრავალი მუშა.

საკონტრიბუციო საკითხის გარშემო

ინგლისი ხელახლა განიხილავს საკონტრიბუციო საკითხს.

ბერლინი. 17 ნოემბ. ბალდვინმა განაცხადა ინგლისის თემთა პალატაში, რომ **შეუძლებელია ინგლისის თანამშრომლობა მოკავშირეებთან, თუ ახეთი მდგომარეობა გაგრძელდა.** პრემიერის განცხადებით, ინგლისის თანამშრომლობა მოკავშირეებთან შეუძლებელი ხდება, რადგანაც ამერიკასთან მოლაპარაკება ჩაშლილია ორ მოკავშირე სახელმწიფოს მიერ. ინგლისის მთავრობის პირველხარისხოვანი ამოცანა, ბალდვინის აზრით, მდგომარეობს საკონტრიბუციო საკითხის გადასინჯვაში. ბალდვინის სიტყვით, საფრანგეთის პოლიტიკა რურის ოლქში უნდა იქნას დაგმობილი, ვინაიდან იგი დიდი ხნის ვადით სდებს ევროპის აღდგენის საქმეს.

ნიანგის ცრემლები.

ბერლინი. 17 ნოემბ. თემთა პალატაში ინგლისის პრემიერი აღნიშნავდა იმ დაბრკოლებებს, რომელსაც მოკავშირეები უყენებენ ინგლისის მთავრობას ყოველთვის, როცა ის სცდილობს საკონტრიბუციო საკითხის მოგვარებას, რაც შეუძლებლად ხდის ინგლისის თანამშრომლობას მოკავშირეებთან.

გერმანიის ამბების გამოძახილი

დებულება გერმანიის მუშათა დამხმარე ცენტრალურ კომიტეტის შესახებ.

მოსკოვი. 17 ნოემბ. სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა ამხ. ტომსკის, კასიორა და დოგადოვს განიხილონ დებულება გერმანიის მუშებისა და მათი ოჯახების დამხმარე ცენტრალურ კომიტეტის შესახებ; ეს კომიტეტი არსდება სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს ინიციატივით.

1.000 ფუთი ხორბალი გერმანიის მუშებს.

ყაზანი. 17 ნოემბ. მუშათა საერთაშორისო დახმარების ორგანიზაციის ყაზანის ქვეგანყოფილებამ გერმანიის მუშების დასახმარებლათ გადასდო 1.000 ფუთი ხორბალი.

გერმანიის პროლეტარიატის კატასტროფიული მდგომარეობა.

მოსკოვი. 15 ნოემბერი. „გერმანიის მშრომელთა დამხმარე ლიგის“ სახელზე გამოგზავნილ წერილში, მუშათა საერთაშორისო დახმარების ორგანიზაციის გენერალური მდივანი მიუნცენბერგი იტყობინება; **„გერმანიის მუშების მდგომარეობა კატასტროფიულია. გთხოვთ ნუ დააყოვნებთ დახმარების გაწევას გერმანიის მუშებისა და ბავშვებისათვის.** რაც უფრო ჩქარა მივიღებთ ჩვენ საშუალებებს, მით უფრო მნიშვნელოვანი იქნება შედეგები“.

საფრანგეთის პრესა საფრანგეთ-გერმანიის დამოკიდებულების შესახებ.

ლიონი. 15 ნოემბერი. **დღეს ელჩთა კონფერენციამ უნდა გაარჩიოს საკითხი კრონპრინცის დაბრუნების შესახებ** და აგრეთვე გერმანიის მთავრობის მიერ უარის განცხადება გერმანიაში მოკავშირეთა სამხედრო კონტროლის კომისიის მუშაობის განახლებაზე.

ამის გამო „მატენ“-ი სწერს: **„კრონპრინცის დაბრუნება მხოლოთ წვრილმანია. უნდა განხილულ იქმნეს საფრანგეთ-გერმანიის ურთიერთ დამოკიდებულების მთელი საკითხი“.** გაზეთი ფიქრობს, რომ გერმანია ყოველგვარ საშუალებით ცდილობს დაარღვიოს ვერსალის ხელშეკრულება.

„პტი ჟურნალ“-ი ხაზს უსვამს კრონპრინცის დაბრუნებას, გერმანიის მიერ უარის განცხადებას სამხედრო კონტროლზე და აგრეთვე გერმანიის მრეწველთა მოლაპარაკების საბოტაჟს. გაზეთი აცხადებს, რომ პასიურ წინააღმდეგობის ადგილი აქტიურმა წინააღმდეგობამ დაიკავა და წინადადებას აყენებს სათანადო ზომების მიღების შესახებ.

ავსტრიელი მენშევიკები დაღონდენ.

ვენა. 15 ნოემბერი. ავსტრიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ყრილობა ამტკიცებს, რომ **ავსტრიის სოციალ-დემოკრატები გერმანიაში მომხდარ ამბების გამო სულიერად დაეცენ.** გერმანიის სოციალ-დემოკრატების წარმომადგენელმა გერცმა დაასურათა გერმანიის უნუგეშო მდგომარეობა. კაუცკიმ განაცხადა, რომ ეხლანდელი კონტრ-რევოლიუციონური პერიოდი ხანმოკლე იქნება და გამოსთქვა იმედი, რომ ჩქარა პროლეტარიატი საბოლოოდ გაიმარჯვებს. სხვათაშორის პრეზიდიუმის ანგარიშიდან სჩანს, რომ ავსტრიის 1.500.000 დარაზმულ მუშებიდან პარტიაში ირიცხება დაახლოებით 500.000 კაცი და პარტიის წევრთა რიცხვი შარშანდელთან შედარებით ძალიან შემცირდა.

უნგრეთის მონარქისტები ახმაურდენ.

ვენა. 15 ნოემბერი. გერმანიაში ყოფილ კრონპრინცის დაბრუნების გამო, **უნგრეთის მონარქისტები იჩენენ აქტივობას** და ეწევიან აგიტაციას ჰუნგრეთში ყოფილ მეფის მეუღლის ზიტას და მემკვიდრე ოტტონის დაბრუნების სასარგებლოთ. ავსტრიელ მონარქისტებთან კონტაქტის დაჭერის მიზნით ჰუნგრეთის მონარქისტების ბელადი ანდრაში გაემგზავრა ვენაში.

ამხ. ვოროვსკის მკვლელის პროცესი

„დანაშაულის შემამსუბუქებელი გარემოებები“.

ლოზანა. 15 ნოემბერი. ამხ. ვოროვსკის მკვლელის პროცესზე ბრალმდებელმა თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ **კონრადის გამართლება შეიძლება მეტად არასასურველ პრეცენდენტათ გახდეს ტერორისტულ აქტების ჩადენისათვის შვეიცარიაში.**

ბრალმდებელმა ხაზი გაუსვა იმას, რომ „დანაშაულის შემამსუბუქებელ გარემოებების“ თანახმად, განაჩენი შეიძლება განისაზღვროს დატუსაღებით 7 წლის ვადით; იმ შემთხვევაში, თუ ეს გარემოებები ცნობილი არ იქნებიან ნაფიც მსაჯულთა მიერ, მაშინ რჩება ორი არჩევანი: კონრადი ან განთავისუფლებულ უნდა იქნეს, ან მას მიესჯება ციხეში დამწყვდევა 15 წლის ვადით.

ბრალმდებელმა უარი განაცხადა ბრალი დაედო პოლუნინისათვის მკვლელობის მომზადებაში და აღნიშნა, რომ უკანასკნელი მოქმედობდა არა პირადი, არამედ პოლიტიკური მოსაზრებებით.

დამცველთა გამოსვლა და ჩლენოვისა და ველტის პროტესტი.

დამცველთა წარმომადგენელმა ობერმა თავის სიტყვაში გაილაშქრა საბჭოთა რუსეთისა და საბჭოთა მთავრობის წევრების წინააღმდეგ. დამცველთა ცილისწამებით აღსავსე განცხადებამ გამოიწვია სამოქალაქო მომჩივანის ჩლენოვის პროტესტი; ჩლენოვმა გააფრთხილა თავმჯდომარე, რომ იმ შემთხვევაში, თუ კიდევ განმეორდა ასეთი განცხადება, მაშინ ის დასტოვებს სხდომის დარბაზს. თავმჯდომარემ საჭიროთ არ დაინახა შეეწყვიტა სიტყვა დამცველისათვის, მაგრამ დაპირდა ჩლენოვს, რომ ის პირადათ მოელაპარაკება ობერს. მაგრამ, სხდომის განახლების შემდეგ ობერს არ შეუცვლია თავისი ტონი და მან გაილაშქრა რუსეთის მუშათა მოძრაობის მეთაურების წინააღმდეგ; **ასეთი მკაცრი გამოსვლის დროს ის ემყარებოდა აშკარა ყალბ დოკუმენტებს.** ჩლენოვმა ხაზი გაუსვა დოკუმენტების სიყალბეს და ბრალი დასდო ობერს ცილისწამებაში, რის შემდეგაც სამოქალაქო მომჩივან ველტთან ერთად მან დასტოვა სხდომის დარბაზი.

მკვლელების გამართლება

ბერლინი. **ლოზანიდან იტყობინებიან, რომ ამხ. ვოროვსკის მკვლელები კონრადი და პოლუნინი ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ გაამართლა.**

რუსეთი და პოლონეთი

პოლონეთი გვერდს უხვევს პირდაპირ პასუხს

საბჭოთა კავშირის გარეშე საქმეთა სახ. კომისარიატის ცნობა.

მოსკოვი. 17 ნოემბ. საბჭოთა კავშირის გარეშე საქმეთა სახ. კომისარიატი პოლონეთთან მოლაპარაკების შესახებ გამოქვეყნებულ ოფიციალურ ცნობაში იუწყება, რომ მოლაპარაკებას აწარმოებდა ვარშავაში საბჭოთა კავშირის გარეშე საქმეთა სახ. კომისარიატის კოლეგიის წევრი ამხ. კოპპი, პოლონეთის მხრივ კი გარეშე საქმეთა ვიცემინისტრი სეიდა.

თუმცა პოლონეთის რწმუნებული არა ერთხელ აცხადებდა, რომ სავსებით მისაღებია საბჭოთა კავშირის წარმომადგენელის მოსაზრებანი გერმანიის საქმეებში არ ჩარევის და პოლონეთზე ტრანზიტის შესახებ და პოლონეთის მთავრობა მზათ იყო ხელი მოეწერა საურთიერთო ვალდებულებებზე, მაგრამ პოლონეთის მთავრობა არ გასცილებია სრულიად გაურკვეველ ფორმულას, რომელშიაც ნათქვამია, რომ „პოლონეთი ილტვის საშუალო და აღმოსავლეთ ევროპაში მშვიდობიანობის დაცვისაკენ“. ტრანზიტის საკითხში კი პოლონეთის მთავრობა წინადადებას იძლეოდა დაკმაყოფილებულიყვენ „მტკიცე საფუძვლებზე“ ტრანზიტის აღიარებით.

თავისი უარი, წერილობით დაედასტურებია სეიდას განცხადებანი პოლონეთის მთავრობის მტკიცე გადაწყვეტილების შესახებ, არ ჩაერიოს გერმანიის შინაურ საქმეებში და არ გასწყვიტოს ამგვარად ნორმალური და პოლიტიკური კავშირი საბჭოთა კავშირსა, პოლონეთსა და საშუალო ევროპის შორის, პოლონეთის მთავრობამ ახსნა იმით, რომ მას არა სურს ეკონომიუ საკითხში შეიტანოს პოლიტიკური მომენტი.

მოლაპარაკების ძირითადი ამოცანა არ არის მიღწეული. მაგრამ პოლონეთის მთავრობამ განაცხადა სურვილი დაიწყოს მოლაპარაკება სავაჭრო ხელშეკრულებისა და რკინისგზის კონვენციის შესახებ, რაც გადასჭრიდა აგრეთვე ტრანზიტის ტეხნიკურ საკითხებს, რაზედაც საბჭოთა მთავრობა დასთანხმდა.

კომინტერნის მოწოდება

„მუშებო, პოლონეთისა და გერმანიის ამბები საუკეთესო მაგალითია თქვენთვის“

მოსკოვი. 17 ნოემბ. კომინტერნის აღმასკომი მოწოდებაში, რომელიც გამოუშვა მან ყველა ქვეყნების მუშების მიმართ, აღნიშნავს, რომ **უკანასკნელ კვირეების განმავლობაში მთელს პოლონეთში მომხდარი სამთო-მადნო წარმოების მუშების, ფეიქრების, რკინისგზელების და ფოსტის მოსამსახურეების დიდი გაფიცვები, საერთო გაფიცვა ზემო სილეზიაში, გალიციაში და ვარშავაში და სისხლისმღვრელი ბრძოლები კრაკოვში, ტარნოვში და ბორისლავში, იპყრობენ მთელ საერთაშორისო პროლეტარიატის ყურადღებას.**

მომხდარი ამბები ამტკიცებენ, რომ პოლონეთის მუშათა კლასი გამოვიდა პასიურ მდგომარეობიდან და მას განზრახვა აქვს ღია გულ-მკერდით შეხვდეს კაპიტალის შეტევას. გერმანიის მუშები ხედავენ, რომ ისინი მარტო არ არიან მძიმე ბრძოლაში. პოლონეთის პროლეტარიატის წარსულ ბრძოლებში ნათლად გამოირკვა პოლონეთის რევოლიუციის ამოცანები; ამ ბრძოლებში შემოიხაზა აგრეთვე პოლონეთის პროლეტარიატის მომავალი ბრძოლის გზა.

ბრძოლაში გამოაშკარავდა ბურჟუაზიის სისუსტე და დიდ რევოლიუციონურ ძალების არსებობა. ზემო სილეზიამ—პოლონეთის ნაციონალიზმის დასაყრდენმა, ბრძოლა დაიწყო გერმანია-პოლონეთის შეერთებულ კაპიტალის წინააღმდეგ. როდესაც პოლონეთის მთავრობამ განიზრახა დახმარება გაეწია გერმანიის ბარონებისათვის პოლიციითა და დრაგუნებით, მაშინ ყოფილმა მეამბოხეებმა აღმართეს წითელი დროშები და კომუნისტების მეთაურობით გაიშურენ მთავრობის ჯარების წინააღმდეგ.

კრაკოვში ჯარისკაცის ფარაჯაში გადაცმული პოლონელი და უკრაინელი გლეხი გადავიდა მუშების მხარეზე და გადასცა მათ იარაღი, რომელიც მათ წინააღმდეგ იყო მიმართული ბურჟუაზიის მიერ. მუშისა და გლეხის კავშირის გაფართოვება და განმტკიცება,—იმ კავშირის, რომელიც სისხლით შეიდუღა კრაკოვში,—მთავარი პირობაა პოლონეთის რევოლიუციის გამარჯვების.

მებრძოლ პროლეტარიატის ყველა ამოცანების სათავეში ამჟამათ სდგას მთლიან მებრძოლ ფრონტის შექმნის დიადი ამოცანა, პოლონეთის კომუნისტებს და კომინტერნს არა ერთხელ განუცხადებიათ და დაუმტკიცებიათ პრაქტიკაზე ის, რომ ისინი მზათ არიან ხელიხელ ჩაკიდებულნი წავიდენ ყველა ამათთან, ვინც მზათ არის იბრძოლოს ბურჟუაზიის წინააღმდეგ პროლეტარიატის მოთხოვნილებებისათვის. პოლონეთის კომპარტიამ მიიღო ყველა ზომები რომ ბრძოლაში ჩაება პოლონეთის სოციალისტური პარტიის და ოპორტინისტულ პროფკავშირების მეთაურები.

პოლონეთის სოციალისტური პარტიის მიმდევრებმა ყოველი საშუალება იხმარეს, რომ ხელი შეეშალათ მუშების გამარჯვებისათვის. მხოლოდ მთავრობის მიერ სამხედრო-საველე სასამართლოების დაარსების შემდეგ მთელი პროლეტარიატის აღშფოთებამ აიძულა პოლონეთის სოციალისტურ პარტიის მეთაურები წამოეყენებიათ საერთო გაფიცვის ლოზუნგი. ისინი 5 წლის განმავლობაში სიტყვით ყოველთვის აყენებდენ ლოზუნგს მუშურ-გლეხურ მთავრობის დაარსების შესახებ, მაგრამ ეხლა კი მათ გაყიდეს მუშები და გლეხები და ხელში ჩაუგდეს ისინი მემამულეებისა და კაპიტალისტების მთავრობას. პოლონეთის სოციალისტურ პარტიის მეთაურებს ეშინიათ პროლეტარიატის გამარჯვების, მათ ეშინიათ მუშურ-გლეხურ რევოლიუციის. პოლონეთის მუშათა კლასს ელის დაღუპვა იმ შემთხვევაში, თუ მის ხელმძღვანელებათ დარჩებიან ისევ პოლონეთის სოციალისტური პარტიის მეთაურები.

მუშებო, პოლონეთისა და გერმანიის ამბები საუკეთესო მაგალითია თქვენთვის. როგორც გერმანიის პროლეტარიატის აჯანყება ჩაქრობილ იქნა სოციალ-დემოკრატების ებერტისა და ზოლმანის მიერ, ისე კრაკოვის აჯანყებაც ჩააქრეს პოლონეთის სოციალისტურ პარტიის მეთაურებმა მაროჩევსკიმ და დაშინსკიმ. **ძირს ჯალათები და იუდები! გაერთიანდით კომინტერნის დროშის ქვეშ! ემზადეთ ახალი ბრძოლისათვის! ჩაუფიქრდით უკანასკნელ დიდ ამბებს! მოაგროვეთ ფართო მასები კომუნიზმის დროშის ქვეშ! პატივი და დიდება კრაკოვში დაღუპულთ! გაუმარჯოს კომინტერნს“.**

დავეხმაროთ გერმანიის პროლეტარიატს

მიბაძეთ ტყიბულის მაღაროების მუშა-მოსამსახურეებს!

ტყიბულის მაღაროების მუშა-მოსამსახურეებმა [illegible] და გადმოგზავნეს გაზეთ „კომუნისტი“-ს რედაქციაში 50 ჩერვონეცი—ბონებით 5 მილიარდი 800 მილიონი მანეთი.

—

გაზეთ „კომუნისტი“-ს რედაქციას.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამილიციო განყოფილების უფროსის ამხ. თაზიშვილის გამოწვევით შემოგვაქვს, გარდა ერთი დღის ხელფასისა და ცალკე შეწირულებისა გერმანიის მებრძოლ პროლეტარიატის სასარგებლოდ, ფოთის ქალაქის მუშათა და გლეხთა მილიციის თანამშრომლებს: მილიციის უფროსს ალექსანდრე გოგიას 60.000.000 მ. მის თანაშემწე ვარლამ ნაჭყებიას 30 000 000 მ. დანარჩენ 53 თანამშრომლებს საერთოდ 277.000.000 მ. სულ სამას სამოცდა შვიდი მილიონი (367.000.000) მან. და ჩვენ მხრივ ვიწვევთ ფოთის რკინის გზას სადგურის უფროსს ამხ. პროკოპი გეგელიძეს და მის თანამშრომლებს.

ფოთის მუშათა და გლეხთა მილიცია.

—

ამხ. ისიდორე გულორდავას გამოწვევით შემომაქვს გერმანიის პროლეტარიატის დასახმარებლად ერთი ჩერვონეცი, და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს; სენაკიდან ხუტუ კოლუას, სამსონ ოჩიგავას, ლუხუ გაგუას, გრიგოლ ჭანტურიას, გრიშა ოდიშარიას, ძუკუ ვოლოშვილს და კოსტა ქიქინაძეს. იმედია ამხანაგები არ დააგვიანებენ პასუხს.

ს. თურქია.

—

ამხ. სერგო ცხოვრებაშვილის გამოწვევით შემომაქვს გერმანიის პროლეტარიატის სასარგებლოთ ორმოცდა ათი მილიონი (50.000.000) მანეთი.

ექ. გრ. ზახარიანი.

—

ამხ. სერგო ცხოვრებაშვილის გამოწვევით შემომაქვს გერმანიის პროლეტარიატის სასარგებლოთ ორმოცდა-ათი მილიონი (50,000,000) მანეთი და ჩემის მხრივ ვიწვევ გორის მაზრაში საექიმო უჯრედების გამგე ექიმებს 25,000,000 მანეთით:

1) ვაშაკიძეს (ახალ-ქალაქი), 2) გოგიტიძეს (კავთის-ხევი), 3) გიორგაძეს (ქვემო ჭალა), 4) დიმიტრიევს (მეჯვრისხევი), 5) იორდანიშვილს (ტყვიავი), 6) ხერშს (ქარელი), 7) ალმოიანცს (გომი), 8) დუნაევს (ხაშური), 9) უგრეხელიძეს (სურამი), 10) ტერ-აბრამოვს (ბრეთი), 11) ტერ-ოგანოვს (ავლევი) და ქარუმაძეს (ხელთუბანი).

ექიმი გ. ი. გვერდწითელი.

—

შემოვიდა 17 ნოემბერს:

1) გერმანიის პროლ. დამხმარე გორის კომისიისაგან 1 ჩერვონეცი და 500.000.000 მანეთი, 2) ტყიბულის მაღაროების მუშა მოსამსახურეებისაგან 5.800.000 000 მან. 3) ს. თურქიასაგან 116.000 000 მან., 4) ფოთის მილიციის თანამშრომლებისაგან 367.000 000 მან., 5) გ. თოფურიძესაგან 60.000.000 მან., 6) ექიმი გ. ზაქარიანცისაგან 50.000.000 მან., 7) ექიმი გ. გვერდწითელისაგან 50.000.000 მან.

სულ 1 ჩერვონეცი და 6.943.000.000 მანეთი.

წინეთ შემოსულით: 327 ჩერვონეცი, 9 ნახ. ინგ. სტერლინგი, 30 ნახ. ოსმალური ქაღ. ლირა, 1 ოქროს ჯვარი, 15 ოქროს ბეჭედი, 2 ოქროს სამაჯური, 1 ოქროს საგულე, 1 ოქროს საყურე, 1 ვერცხლის ჩაის კოვზი, 35 ვერცხლის მანეთი, 3 ვერცხლის პორტ-სიგარი, 1 ვერცხლის რგოლი, 2 ნაჭერი ოქრო, წონით 1 მისხალი, და 21.729 517 000 მანეთი.

წითელი რესპუბლიკები

რუსეთი

გზათა სახალხო კომისარიატის კოლექტიური ხელშეკრულება წყალზე მომუშავეთა კავშირის ცენტრალურ კომიტეტთან.

მოსკოვი. 16 ნოემ. გზათა სახალხო კომისარიატმა მიიღო წყალზე მომუშავეთა კავშირის ცენტრალურ კომიტეტთან დადებული გენერალური კოლექტიური ხელშეკრულება. ხელშეკრულების მიხედვით 100 პროცენტიან ზონის პირველ ხარისხისათვის ძირითად ჯამაგირად დანიშნულია 4,6 ჩერვ. მანეთი, დედაქალაქების ზონის პირველ ხარისხისათვის კი 6,9 ჩერვ. მანეთი. ხელშეკრულება ვრცელდება შტატსგარეშე დროებით მუშაკებზე, რომელთაც უმსახურნიათ არა ნაკლებ სამი თვისა. შრომის ხელფასის ფონდს ანგარიშობს ყოველთვიურად გზათა სახალხო კომისარიატი წყალზე მომუშავეთა კავშირის ცენტრალურ კომიტეტთან ერთად. ხელშეკრულება ითვალისწინებს იმას, რომ ადმინისტრატიულ, ტეხნიკურ და სამეურნეო პერსონალის მიღება სამსახურში უნდა ხდებოდეს საკავშირო ორგანოების აუცილებელი მონაწილეობით ამ საქმეში.

ცენტროკავშირის ქონების კონფისკაცია ამერიკაში.

მოსკოვი. 16 [illegible] ამერიკის კომისია, რომელმაც უნდა გამოარკვიოს ცენტროკავშირის ნამდვილი უფლებები იმ ქონებაზე, რომელიც ამერიკაში იმყოფება და რომელიც ჩამორთმეულია მეფის მთავრობის გაუქმებულ ვალების ანგარიში. ქონება შეფასებულია რამდენიმე მილიონ დოლარათ. ცენტროკავშირმა პროტესტი განაცხადა ქონების დაკავების წინააღმდეგ, რადგან ეს ქონება ეკუთვნის საზოგადოებრივ ორგანიზაციას და ის მხოლოდ მთავრობის კონტროლის ქვეშ იმყოფება. კომისიამ უნდა გამოარკვიოს აგრეთვე ცენტროკავშირის ნამდვილი მდგომარეობა.

ამიერ-კავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტი—ლენინიზმის სკოლა

გერმანიის რევოლიუციის განვითარების უდიდესმა სურათმა არ უნდა დაგვავიწყოს უკანასკნელი ანგარიშით „მცირე“ კულტურული მუშაობის საქმე. გადაჭარბებული არ იქნება იმის თქმა, რომ ამიერ-კავკასიაში კომუნისტური განათლების ფრონტზე მუშაობაში ამიერ-კავკასიის 26 ის სახელობის კომუნისტურ უნივერსიტეტს უჭირავს ერთი მბრძანებელი მწვერვალთაგანი.

პარტიამ უნდა იცოდეს როგორ და რას ასწავლიან ახალგაზრდათა გვარდიას ამიერ-კავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტში.

ჩვენი გეგმის გასაგებათ საჭიროა მოკლეთ შევეხოთ ჩვენი უმაღლესი პარტიული სკოლის მშენებლობის ძირითად პრინციპს.

კომუნისტური უნივერსიტეტების პირველმა კონფერენციამ (1922 წლის დეკემბერში) საკმაოთ ნათლად აღნიშნა ჩვენი მუშაობის გზები.

კომუნისტური უნივერსიტეტები უნდა გადაიქცენ უმაღლეს პარტიულ სკოლად. კომუნივერსიტეტების ძირითად ამოცანას შეადგენს მარქსისტულად განვითარებულ ბოლშევიკ-სპეციალისტების აღზრდა პარტიული და საბჭოთა მუშაობის ყველა დარგებისათვის. დასახულ მიზანთან შეფარდებით მეცნიერული, სასწავლო და აღმზრდელობითი მუშაობის ცენტრი ჩვენს უნივერსიტეტებში გადადის სოციალურ მეცნიერებათა დარგში, რომელიც საბუნებისმეტყველო მეცნიერებასთან შედარებით, სადაც ჩვენ ჯერ-ჯერობით არ დაგვიჭერია რაიმე სერიოზული პოზიცია, მარქსისტული მეთოდოლოგიის ციხე-ბურჯია.

საერთო განმანათლებელ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებას დათმობილი აქვს მეორე ხარისხოვანი ადგილი, უმაღლესი მარქსისტული განათლების სერიოზულად დაყენების საჭიროების მიხედვით.

მთელი გეგმის შინაგანი მთლიანობისათვის მიღებულია ასეთი პრინციპები: 1. მაქსიმალური შეთანხმება ცალკე საგნების დალაგებაში და შინაარსში კურსის მთელ მანძილზე, 2) ბრძოლა მეთოდოლოგიურ დუალიზმთან, საზოგადოებრივ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა შორის განცალკევებასთან—დადებითი ცოდნის, საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივ მეცნიერებათა შედეგების განზოგადოება და გაერთიანება, დიალექტიური მატერიალიზმის თვალსაზრისით, 3) ბუნებისმეტყველების წარმოებითი-ტეხნიკური გაშუქება, 4) ბუნებისმეტყველებისა და მათემატიკის ისტორიულ მატერიალისტური დამუშავება, 5) შეძლებისდაგვარად თვითეულ საგანში, მთელი კურსის მანძილზე კონკრეტიულ, თანამედროვე სინამდვილიდან ისტორიის მაგალითებზე, თეორიულ სიმაღლეებზე გადასვლა, 6) თეორეტიულ და ყველა საზოგადოებრივ მეცნიერებათა თანდათანობით განვითარება, კონკრეტულ აღწერითი, კონკრეტიულ ისტორიული და ყველა საზოგადოებრივ მეცნიერებათა შემცირება დაბალი კურსებიდან უმაღლეს კურსებზე გადასვლის დროს; 7) თვითეული სასწავლო ციკლის (მაგალითად ერთი წლის) საგნების კონცენტრაცია ერთი რომელიმე განსაზღვრული, ძირითადი საგნის გარშემო მარქსისტულ მეცნიერებათა რიცხვიდან (ეკონომიური გეოგრაფია 1-ლ, პოლიტიკური ეკონომია 2-რე, ისტორიული მატერიალიზმი 3-მე ციკლში), 8) აღზრდის 4 წლიანი, მინიმუმი—სამ წლიანი კურსი. დაბოლოს, საკმაოდ დიდი სია საგნების, რომელიც შეიცავს ენებს, მათემატიკას, ბუნებისმეტყველებას და მარქსისტულ მეცნიერებათა მთელ წრეს.

ამათგან პირველ წელს შეისწავლება რუსული ენა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება და მხოლოდ ორი საზოგადოებრივი საგანი: ეკონომიური გეოგრაფია და საზოგადოებრივი განვითარების ისტორია.

საერთო განმანათლებელი და საბუნებისმეტყველო საგნების სიმრავლე—აუცილებლობაა, რომლის გვერდის ახვევა უმაღლეს პარტიულ სკოლაში მუშურ-გლეხური შემადგენლობით, შეუძლებელია.

„საშუალო“ განათლების გარეშე შეუძლებელია უმაღლესი მარქსისტული ცოდნის შეძენა, ბუნებისმეტყველებისა და მათემატიკის გარეშე შეუძლებელია მარქსიზმის ფილოსოფიის შეთვისება, დიალექტიური მატერიალიზმის გარეშე შეუძლებელია მარქსისტული თეორიის დაძლევა. ეს ელიმენტარული ჭეშმარიტებაა. და სრულიად ბუნებრივია, რომ ამიერ-კავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტი იზიარებს კომუნისტური უნივერსიტეტების უმნიშვნელოვანეს დადგენილებებს. ამიტომ ზედმეტი იქნებოდა უმაღლეს პარტიულ სკოლაში სასწავლო გეგმების და პროგრამების შედგენაზე და სწავლების მეთოდზე უფრო ვრცლად შეჩერება. აუცილებელი და საკმაოა შეჩერება არა საერთო, არამედ განსაკუთრებულ მხარეებზე ჩვენს გეგმაში, ამიერ-კავკასიის საბჭოთა ფედერატიული სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი პარტიული სკოლის ამიერ-კავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტის გეგმაში.

სასწავლო გეგმა შედგენილია კომუნისტური უნივერსიტეტების ნორმალური სქემის მიხედვით. მაგრამ გეგმა ნავარაუდევია არა სამი, არამედ ოთხი წლისათვის.

მოტივები: ახალგაზრდობას, რომელიც შემოდის ჩვენს უნივერსიტეტში, მომზადება აქვს პირველი და მეორე საფეხურის პარტიულ საბჭოთა სკოლების პროგრამის ფარგლებში. ჩვენი სტუდენტობის მუშურ გლეხური შემადგენლობა იძლევა საერთო განათლების ძლიერ მცირე დონეს. მართალია ეს დონე არ ჩამოუვარდება რუსეთის დედა ქალაქების კომუნისტური უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა საერთო განათლების დონეს, მაგრამ სრულიად არ არის საკმაო უმაღლესი მარქსისტული განათლების მისაღებათ. რომელიც გინდა კომუნისტური უნივერსიტეტის შინაგანი წინააღმდეგობა, ეჭვს გარეშეა, ხომ იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ ვცდილობთ პარტიულ ახალგაზრდობას მივცეთ უმაღლესი მარქსისტული განათლება მიუხედავათ იმისა, რომ ამ ახალგაზრდობას აქვს საშუალოზე დაბალი განათლება. ამ შინაგანი წინააღმდეგობის გადასაჭრელად კომუნივერსიტეტის სანიმუშო სასწავლო სქემით საზოგადოებრივ და საბუნებისმეტყველო საგნების რაოდენობის შორის დამყარებულია ისეთი შეფარდება, რომ უკანასკნელთ ეთმობა მთელი კურსის სასწავლო საათების ერთი მესამედი. არ ვდაობთ რა ასეთი შეფარდების (2:1) წინააღმდეგ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ სამწლიანი კურსის საათების აბსოლიუტური რაოდენობა არ არის საკმაო წინააღმდეგობის გადასაჭრელად. შეუძლებელია ერთი წლის განმავლობაში (საათების აბსოლიუტური რაოდენობის მიხედვით) საერთო მომზადების მიცემა, მაგალითად მუშფაკის ფარგლებში, რაც წინასწარი პირობაა უმაღლესი მარქსისტული აღზრდის საქმის დასაყენებლად; მით უფრო შეუძლებელია ორი წლის განმავლობაში (საათების აბსოლიუტური რაოდენობის მიხედვით) უმაღლესი მარქსისტული განათლების მიღება. წინააღმდეგობის გადაჭრა შეიძლება, ისიც არა სავსებით დამაკმაყოფილებლად, ოთხ წლიანი კურსის ფარგლებში. ამიტომ უნივერსიტეტის ხელმძღვანელებმა ოთხ წლიანი კურსის შემოღება არა თუ პრინციპიალურად სასურველად, არამედ პრაქტიკულად აუცილებლად აღიარეს; ამასთანავე ერთად მათ სავსებით მიუღებლად სცნეს ამიერ-კავკასიის ჩამორჩენილობის პირობებში, 4 წელზე ნაკლები, სამ წლიანი კურსის შემოღება.

4 წლიანი კურსის ფარგლებში სწავლების სანიმუშო სქემის თითეულ ციკლს ეთმობა თითქმის 1 წელი. 1—4 ტრიმესტრებზე სჭარბობენ საერთო განმანათლებელი და საბუნებისმეტყველო საგნები, ბუნებისმეტყველება მთავრდება მეოთხე ტრიმესტრზე, სოციალური მეცნიერება იწყება კონკრეტიულ აღწერითი და კონკრეტიულ ისტორიული კურსებიდან, პირველ წელს დამთავრდება მეთოდოლოგიური კურსებით მესამე წელს, სპეციალიზაციას დათმობილი აქვს მთელი მეოთხე წელიწადი.

ამიერ კავკასიის ახალგაზრდობას ესაჭიროება სწავლა სერიოზულათ და დიდი ხნით!

სასწავლო გეგმა დაწერილებით ჩამოყალიბებულია მხოლოდ პირველი და ნაწილობრივ მეორე წლისთვის. შემდეგი მუშაობა ამ მიმართულებით შესრულებული იქნება პირველი წლის გამოცდილების შემდეგ, როცა პრაქტიკულად იქნება გატარებული სასწავლო კვირა (24 საათი) და ჩვენი სტუდენტის სამუშაო დღე: დილით 4 საათი (9—13 საათამდი)—ოფიციალური მეცადინეობა; სადილის შემდეგ 3 საათი (16—19 საათამდი)—დამოუკიდებელი მეცადინეობა და საღამოს 2 საათი (20—22 სათამდი)—საკლუბო მუშაობა.

გეგმების და სწავლების მეთოდების გამომუშავების დროს, უნივერსიტეტის მეთაურები, რასაკვირველია, ხელმძღვანელობდნენ უფროსი კომუნისტური უნივერსიტეტების გამოცდილებით, მაგრამ აქ ადგილი არ ჰქონებია სვერდლოვის და ზინოვიევის სახელობის უნივერსიტეტებისათვის მექანიკურ წამბაძველობას, მოვახდინეთ პირველი ცდები პროგრამების და მთელი სასწავლო მასალის აღმოსავლეთის პირობებთან შესაგუებლად. ამ ცდებმა უფრო მეტად გამოხატულება ჰპოვეს საზოგადოებრივი განვითარების ისტორიის, ფიზიკური და ეკონომიური გეოგრაფიის პროგრამებში (პარტიულ-საბჭოთა ფაკულტეტზე).

არა ყველა პროგრამებს აქვს თან დართული განმარტებები, საექსკურსიო და ლაბორატორული გეგმები, ბიბლიოგრაფიული ცნობები, მეთოდიური კომენტარიები და თვითეული საგნის მუშაობის კალენდარული განაწილება ტრიმესტრებათ, თვეებათ კვირეებათ. მთელი ეს მუშაობა საპროგრამო-მეთოდიური აპარატის ცენტრში დგას. გეგმებისა და პროგრამების შემოწმება და თვითკრიტიკა მხოლოდ ახლა იწყება. საპროგრამო-მეთოდიური აპარატის მუშაობის ხაზი ასეთია; მეორე და შემდეგი კურსების პროგრამების გამომუშავება, მთელი სასწავლო გეგმის შევსება ლაბორატორული მეცადინეობის, ექსკურსიების, ბიბლიოგრაფიების და ჩამოყალიბებული კალენდარული პროგრამების მთლიანი სისტემით; უახლოეს ხანაში—ბრძოლა ბუნებისმეტყველების დიალექტიურ-მარქსისტული გაგებისათვის და შეტაკებები მარქსისტული მეთოდიკის და მეთოდოლოგიის მოწინავე პოზიციებზე.

დავა ლექციასა და პრაქტიკულ მეცადინეობის შორის შეფარდების შესახებ უნივერსიტეტში გადაიჭრა სალექციო სისტემის შეცვლით პროსემინარულ და სემინარულ წრეებში მეცადინეობით და სწავლების მთელი პროცესის თავმოყრით ლაბორატორიებში, სამკითხველო დარბაზებში და სხვა. მუშაობის ძირითადი მეთოდები: საუბარი, დისკუსიები, რეფერატები, თეორეტიული პრაქტიკა, რეპეტიტორიუმი, ლაბორატორული მეცადინეობა, ექსკურსია, გამოკვლევები და სხვ.

ამ კურსში მოწაფის შემოქმედებითი თვითმოქმედებაში მისი მუშაობის ყველა სტადიებში, ოფიციალური და არა ოფიციალური მეცადინეობის დროს, გამოიხატება მეთოდიური გეგმის არსი, რომელიც უახლოვდება ე. წ. დოლტონის ლაბორატორულ გეგმას (ეს სახელწოდება წარმოსდგა ამერიკის ქალაქ დოლტონიდან, სადაც ამ მეთოდით სარგებლობენ სახალხო შკოლაშიც კი, ბავშვებთან მეცადინეობის დროს).

თვითეულ საგანზე წლისათვის, სემესტრისათვის, თვისთვის, კვირისთვის გამომუშავებულია მინიმალური და მაქსიმალური კალენდარული პროგრამა, ვრცელი ბიბლიოგრაფიული ლაბორატორული და საექსკურსიო მაჩვენებლით და კითხვებით შესასწავლი პრობლემების დამოუკიდებლათ გადასაჭრელად. მოსწავლეს უფლება აქვს აირჩიოს თავის შესაფერი პროგრამა; ის მოვალეა იმეცადინოს სკოლაში საათების განსაზღვრული რაოდენობის განმავლობაში, იმ ლაბორატორიაში, რომელსაც თვითონ აირჩევს. მასწავლებლის როლი განისაზღვრება ინსტრუქტორის, კონტროლიორის ფუნქციებით, გაჭირვების დროს მოწაფისათვის დახმარებით. სპეციალურ ბარათებზე მოწაფე აღნიშნავს ლაბორატორიაში, როდის, რამდენი საათი და რა საგანში მეცადინეობდა. განსაზღვრულ პერიოდში (კვირა, თვე, სემესტრი და წელიწადი) მოწაფეები მოვალენი არიან შეასრულონ და წარმოადგინონ ნაშრომი არჩეულ საკალენდრო პროგრამის მიხედვით. ამერიკის პრაქტიკამ დაამტკიცა, რომ დოლტონის გეგმა იძლევა საკმაო მნიშვნელოვან შედეგებს. თუ ამ მეთოდმა დადებითი შედეგები გამოიღო სახალხო სკოლაში, ბავშვებთან მეცადინეობის დროს, მით უფრო მნიშვნელოვან შედეგებს მოგვცემს ის მოზრდილებთან მეცადინეობის დროს, მაგალითად კომუნივერსიტეტში.

უნივერსიტეტის ხელმძღვანელები ამ მეთოდის არსს ცხოვრებაში გაატარებენ მის უკიდურესობათა გარეშე: ოფიციალური მეცადინეობა ჯერ რჩება, მაგრამ ამ მეცადინეობას, ეძლევა ლაბორატორული მუშაობის მაქსიმალური შემოქმედებითი ხასიათი.

წინასწარ მატერიალურ პირობებს მუშაობის ასე დასაყენებლათ—ლაბორატორიებს, კაბინეტებს, ბიბლიოთეკებს, სამკითხველოებს და სხვა აპარატებს ამიერ-კავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტი ქმნის მიმდინარე სასწავლო წლის პირველი ტრიმესტრის განმავლობაში.

განსაკუთრებული ადგილი სასწავლო გეგმაში უჭირავს სწავლების ენას: მოსამზადებელ კურსზე—სამშობლო ენა, პედაგოგიურ და საბჭოთა პარტიულ ფაკულტეტზე, რუსული სამშობლო ენასთან ერთად: სადაც აუცილებელია—რუსული, სადაც შესაძლებელია—სამშობლო ენები.

როგორიც არ უნდა იყოს ამიერ-კავკასიის ნაციონალური ენების როლი ამიერ-კავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტის სწავლების სისტემაში, ჩვენი უნივერსიტეტი მოწოდებული იქნება შეასრულოს აქტიური ფაქტორის როლი აზერბეიჯანის, საქართველოს და სომხეთის კულტურების ამაღლების საქმეში. ასეთია მუშაობა მეცნიერული ლიტერატურის და პედაგოგიური კადრების შესაქმნელად პარტიულ საბჭოთა შკოლებისათვის და მარქსისტულ წრეებისათვის ადგილობრივ ენებზე.

სასწავლო გეგმაში არის ერთგვარი უსწორ-მასწორობა და შეცდომები, რომლებიც ეკუთვნიან გამოცდილების დაგროვების პირველ-ყოფილ ეპოქას. პრაქტიკა და გამოცდილება განსაზღვრავენ უნივერსიტეტის მიმართულებას. მაგრამ ამიერკავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტის განვითარების ძირითადი ტენდენციები აშკარა და ნათელია: მტკიცე კურსი უმაღლესი პარტიული შკოლისაკენ, პროგრამის შეფარდება ადგილობრივ პირობებთან, მუშაობის მეთოდების ამერიკანიზაცია და რაც უმთავრესია—ლენინიზმის იდეური დიქტატურა, მისი ჰეგემონია ოთხწლიანი კურსის მთელ მანძილზე.

ამიერკავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტი მიდის წინ და ცოცხლობს მებრძოლი ლენინიზმის დროშის ქვეშ, რომელსაც განთავისუფლება შეაქვს პროლეტარული დასავლეთისა და გლეხური აღმოსავლეთისათვის. ბრძოლის შედეგი ბოლოს და ბოლოს დამოკიდებულია იმაზე, რომ რუსეთი, ინდოეთი, ჩინეთი და სხვა (აღმოსავლეთი!) შეადგენენ მცხოვრებთა დიდ უმრავლესობას... იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იქნეს ჩვენი არსებობა შემდეგ სამხედრო შეტაკებამდე დასავლეთის კონტრ-რევოლიუციონურ იმპერიალისტებსა და რევოლიუციონურ ნაციონალისტურ აღმოსავლეთს შორის, მსოფლიო ცივილიზაციურ სახელმწიფოებსა და აღმოსავლეთის ჩამორჩენილ სახელმწიფოებს შორის (ეს უკანასკნელნი უმრავლესობას შეადგენენ), ამ უმრავლესობამ უნდა მოასწროს კულტურის შეთვისება.

ს. წოდიკაძე.

საბჭოთა კავშირის სამეურნეო მდგომარეობა

ორი ფრთა.

მოსკოვი. 17 ნოემბ. საქმიან კლუბში ს. ს. რ. კავშირის თანამედროვე სამეურნეო მდგომარეობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. სმილგამ, რომელმაც აღნიშნა, რომ კრიზისის ძირითადი მიზეზია მრეწველობის და სასოფლო მეურნეობის პროდუქციის გამოურკვევლობა, ქვეყანაში ორი სამეურნეო სისტემების პარალელურად არსებობა, როცა ქალაქის მრეწველობა მუშაობს მეოცე საუკუნის ტემპით, სასოფლო მეურნეობა კი დაუბრუნდა 17—18 საუკუნოებში არსებულ მდგომარეობას. გარდა ამისა დიდ გავლენას ახდენს ორი ვალიუტის არსებობა; ამასთანავე ქალაქის მეურნეობა ოპერაციებს ახდენს ჩერვონცებით, სასოფლო მეურნეობა კი— მერყევ ვალიუტით. საქონლის გაცვლა-გამოცვლის დარგში აგრეთვე შემჩნეულია საქონლის ტრიალის ორი წრე: ქალაქის მრეწველობა და გლეხური შინამრეწველობა, რომელთა შორის მჭიდრო კავშირი ვერ არის დამაკმაყოფილებელი.

რა ზომებია საჭირო.

კრიზისის დასაძლევად მომხსენებლის აზრით, საჭიროა მეურნეობის სხვადასხვა ნაწილებს შორის მჭიდრო კავშირის უზრუნველყოფა და ქვეყნის ჩაბმა მსოფლიო საქონლის ტრიალში. საჭიროა სასოფლო მეურნეობის აღდგენა პურის ექსპორტის გაძლიერებით, შრომის კულტურაზე გადასვლით და სასოფლო სამეურნეო ბანკის მოწყობით.

ვაჭრობა-მრეწველობის ნაკლი.

ვაჭრობისა და მრეწველობის დარგში საჭიროა მრეწველი კონიუნქტურის [illegible] ლტოლვა. საწარმოო პროგრამები უნდა იქნას შემუშავებული მომხმარებელთა გადახდის უნარიანობის მიხედვით. განყენებული გეგმები თავიდან უნდა იქნას აცილებული. შინაურ და გლეხის ბაზრის დასაპყრობად საჭიროა ფართო მოთხოვნილების საგნების დამზადების გადიდება. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ სახელმწიფოებრივმა კოოპერატიულმა და კერძო ვაჭრობამ გამოცდა ვერ ჩააბარა. მუშაობის დროს არ იყო გეგმა და აღრიცხვა.

პურით ვაჭრობა.

მომხსენებელი აღნიშნავს სერიოზულ ნაკლებს პურით ვაჭრობის სისტემაში და აღნიშნავს, რომ საჭიროა გლეხებმა მიიღონ მონაწილეობა პურის ექსპორტის სარგებელში. სტიქიური ხასიათის ელემენტები დიდ როლს თამაშობს ჩვენ მეურნეობაში. კონიუნქტურის აწევა და დაწევა ძალიან მკვეთრადაა გამოხატული. მაგრამ სახელმწიფო დიდი სიფრთხილით უნდა სარგებლობდეს რეგულიაციის უფლებით. რეგულიაციას ჯერ-ჯერობით შედეგი არ მოჰყოლია.

ვაჭრობა-მრეწველობის სახკომი.

მომხსენებელი წინადადებას იძლევა დაარსებულ იქნეს ვაჭრობა-მრეწველობის სახ. კომისარიატი, რომელსაც უნდა დაემორჩილოს მთელი ვაჭრობა. მომხსენებლის სქემის მიხედვით ვაჭრობა-მრეწველობის სახ. კომისარიატი განაგებს ტრესტების და სინდიკატების მუშაობას, შრომის და თავდაცვის საბჭო კი ხელმძღვანელობს მთელ მუშაობას.

საბირჟო ვაჭრობის ყრილობათა ბიუროს პლენუმი

მოსკოვი. 16 ნოემბ. გაიხსნა საბირჟო ვაჭრობის ყრილობების ბიუროს პლენუმის სხდომა, სრულიად უკრაინის საბირჟო ვაჭრობის ბიუროს წარმომადგენლის, ფინანსთა სახ. კომისარის, შინაურ ვაჭრობის კომიტეტის და მთელ რიგ პროვინციალურ ბირჟების მონაწილეობით. გახსნა რა პლენუმი მოსკოვის საქონლის ბირჟის თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. კაგანოვიჩმა, აღნიშნა, რომ პლენუმის დღის წესრიგის ძირითადი საკითხია—თანამედროვე კრიზისი და სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის საგნებზე ფასების შეუფარდებლობა. კრიზისი გავლენას ახდენს ადგილობრივ ბირჟების მუშაობაზე. მოსკოვში საბირჟო ვაჭრობამ ხელში ჩაიგდო სავაჭრო ბრუნვის მნიშვნელოვანი ნაწილი, პროვინციაში კი ჯერ ეს არ მომხდარა.

საჭიროა საბირჟო ვაჭრობის გაფართოება.

თანამედროვე საბაზრო კონიუნქტურის შესახებ გაკეთებულ მოხსენებაში შინაურ ვაჭრობის კომიტეტის საქმეთა მმართველმა ამხ. შეხანოვმა აღნიშნა, რომ დეპრესია გავრცელდა უმთავრესად მრეწველობის ნაწარმოებების გასაღებაზე და რომ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე გარიგებათა რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზარდა. ბირჟის ძირითადი ამოცანაა—მოთხოვნილების და მიწოდების მოწესრიგება და საკორესპონდენტო სისტემის შემოღება, რათა ადგილობრივი ბირჟები სისწორით გამოხატავდენ ადგილობრივ ბაზრის მდგომარეობას და მუდმივი კავშირი ჰქონდესთ ცენტრთან. ბირჟა უსაქმობა კი არაა, არამედ საჭირო სახელმწიფოებრივი დაწესებულება, რითაც უნდა გაიმსჭვალონ ყველა მოვაჭრე ორგანოები და განსაკუთრებით სინდიკატები.

პროფინტერნში

გლეხები მხარს დაუჭერენ გერმანიის მუშებს.

მოსკოვი. 15 ნოემბერი. პროფინტერნის აღმასრულებელ ბიუროს სხდომაზე მოსმენილ იქნა სოფლის მეურნეობის მუშებს შორის პროპაგანდის მწარმოებელ საერთაშორისო კომიტეტის მდივნის—ჩირკოვის მოხსენება კომიტეტის ამოცანების შესახებ.

ჩირკოვის სიტყვების თანახმად, გერმანიის კომუნისტურ პარტიას ემხრობა გერმანიის სოფლის მეურნეობის პროლეტარიატის 50 პროცენტი. დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ **გერმანიის სოფლის მეურნეობის მუშები მხარს დაუჭერენ გერმანიის პროლეტარიატს გადამწყვეტ ბრძოლის მომენტში.**

სოფლის-მეურნეობის მუშების რეფორმისტული კავშირი, როგორც ორგანიზაცია თითქმის აღარ არსებობს. უკანასკნელ დროის განმავლობაში აღმოცენდა ახალი ორგანიზაცია—წვრილ გლეხთა კავშირი, რომელიც აერთიანებს 400.000 კაცს; ამ ორგანიზაციას მეთაურობენ კომუნისტები.

აღმასრულებელი ბიურო მოხსენების გამო მიღებულ რეზოლიუციაში აღნიშნავს, რომ ამ ჟამათ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მუშაობის წარმოებას მიწისა და ტყის პროლეტარებს შორის; ბიურომ დაადგინა აგრეთვე განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს გერმანიის სოფლის მეურნეობის მუშებისათვის დახმარების გაწევას.

ყვითელ პროფკავშირების გახრწნა.

მთელი რიგი ამხანაგებისა აღნიშნავდენ, რომ **პროფკავშირების სრულიად გერმანიის გაერთიანებამ გახრწნის უკანასკნელ წერტილს მიაღწია.** ფინანსიურ კრიზისის გამო **გაერთიანებას ჩამოშორდა კავშირების ბიუროკრატთა 80 პროც.** თავის მოღალატურ პოლიტიკის გამო, გაერთიანებამ დაკარგა მუშათა მასების ნდობა. გაერთიანება სცდილობს აღწიოს თავისი პრესტიჟი სატარიფო ხელშეკრულებების კამპანიის ჩატარებით; ეს კამპანია სწარმოებს ლოზუნგით: „შრომის ხელფასის გამოანგარიშება ოქროს ვალიუტაში". მაგრამ ამ კამპანიას არავითარი დადებითი შედეგები არ მოჰყვება იმის გამო, რომ გაერთიანების პოლიტიკამ მეტათ გაამრავლა უმუშევართა რიცხვი გერმანიაში.

გაერთიანებამ თვითონ მოსპო თავისი გავლენა იმით, რომ ის დათანხმდა გაუქმებული ყოფილიყო 8 საათის სამუშაო დღე; მისი გავლენის დაცემას ხელი შეუწყო აგრეთვე გაერთიანების მოღალატურმა პოლიტიკამ გაფიცვების დროს. გაერთიანება ისეთივე საშიშროებას წარმოადგენს გერმანიის მუშებისათვის, როგორც ფაშისტური ორგანიზაცია.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი

ნავთის გაზიდვა.

ბაქო. 15 ნოემბერი. ნაოსნობა ასტრახანში დაიხურა 13 ნოემბერს. მთელს სანაოსნო პერიოდში, დაწყებული 19 მარტიდან, გაგზავნილია ასტრახანში სათბობი მაზუთი 10,740,597 ფ., საზღვაო მაზუთი 4,229,422 ფ. საცხები მაზუთი 1,854,729 ფ., მოტორის მაზუთი 13,100,000 ფ., მანქანის ზეთი 812,238 ფ., ნავთი—15,953,515 ფ., პეტროვსკიდან ასტრახანში გაზიდულია გროზნოს პარაფინისებური ნავთი—16,211,877 ფ.; რაკუშიდან ასტრახანში გაზიდულია მაზუთი 11,989,412 ფ.; სულ გაზიდულია ასტრახანში 158,855,260 ფ. ცენტრის პროგრამის მიხედვით გაზიდული უნდა ყოფილიყო ასტრახანში ბაქოდან 138 445,000 ფ., პეტროვსკიდან 17,800,000 ფ., რაკუშიდან—10 მილ. ფუთი, სულ 156,245,000 ფ. გაზიდულია ზედმეტი ბაქოდან 2,209,571 ფუთი, რაკუშიდან 1,989,412 ფუთით, სულ 4,198,963 ფუთით. პეტროვსკიდან კი გაზიდულია ზედმეტი 1,588,123 ფუთი, ამას გარდა ამ პერიოდის განმავლობაში სახელმწიფო გეგმის სამმართველოს განკარგულებით გატანილია რიაზან-ურალის რკინისგზისათვის 500,000 ფუთი ნავთი.

საერთოდ ნავთის პროდუქტების გაზიდვა გასულ სანაოსნო პერიოდში შესრულებულია 102 პროცენტით.

საბჭოთა აჭარისტანში

(საკუთარი კორესპონდენტისაგან)

საბჭოების არჩევნები

აჭარისტანის სათემო და სამაზრო საბჭოების ხელახალი არჩევნები დაიწყო. იბადება საკითხი: რა მისცა ძველმა საბჭოებმა ფუხარა ხალხს და ვინ უნდა აირჩიოს მშრომელმა ხალხმა ახალ საბჭოებში?

5 ნოემბერს აჭარისტანის ფუხარა ხალხმა იდღესასწაულა წითელი მეჯლისის დაარსების ორი წლის თავი. წითელი მეჯლისი, რომელმაც შესცვალა ბეგების, აღების და მემამულეთა შავი კონტრ-რევოლუციონური მეჯლისი, იყო აჭარისტანის ფუხარა ხალხის პირველი გამარჯვება. წითელი მეჯლისის მოვალეობას შეადგენდა ბეგების დათრგუნვა და აჭარისტანის ყველა ვარგისიან სახნავ-სათესი და საძოვარი მიწების გადაცემა მშრომელ ფუხარაზე. ამ ამოცანის გადაჭრას წითელი მეჯლისი მედგრად შეუდგა. საბჭოებმა დაასრულეს წითელი მეჯლისის მიერ დაწყებული საქმე.

პირველ ყოვლისა, საჭირო იყო წით. მეჯლისის მიერ მიწის საკითხზე გამოცემული დეკრეტის ცხოვრებაში გატარება. ერთის დაკვრით ამ რთული და მტკივნეული საკითხის გადაჭრა შეუძლებელი იყო. ამიტომ სრულიად აჭარისტანის საბჭოთა 1-ლი ყრილობამ შეიმუშავა სათანადო გეგმა და ინსტრუქციები ამ რეფორმის მიზანშეწონილად ჩატარებისათვის. შედგენილ იქნენ სპეციალური კომისიები, რომლებმაც 1 ნახ. წლის ენერგიული მუშაობის შემდეგ ყველა ბეგებს, აღებს და მემამულეებს ჩამოართვეს მიწები და იგი უმიწაწყლო ფუხარას გაუნაწილეს.

სულ მთელს აჭარისტანში ჩამორთმეულია ექვსი ათასი დესიატინა მიწა. ამაში 3.000 დესიატინა ჩამოერთვა ზემო-აჭარის ბეგებს—ხიმშიაშვილებს, ხოლო 526 დესიატინა—ბათომის მიდამოებში, ბეგ აბაშიძეებს, ბიბინ-ზადეებს და მემამულე ანაძეს.

ბათომის მიდამოებში მეფის გენერლებს და მემამულეებს გაშენებული ჰქონდათ საუკეთესო აგარაკები და კულტურული მამულები. საბჭოთა ხელისუფლებამ 200-მდე კულტურული ნაკვეთი და აგარაკი ჩამოართვა მეფის კოლონიზატორებს და სახელმწიფო ფონდში ჩარიცხა.

რასაკვირველია, საბჭოთა ხელისუფლების მუშაობა არ განისაზღვრულა მარტო მიწების ჩამორთმევით.

აჭარისტანი მეტად ჩამორჩენილი და განუვითარებელი კუთხეა. სასოფლო მეურნეობა აქ პატრიარქალურია. საბჭოთა ხელისუფლებამ ხელი მიჰყო სასოფლო მეურნეობის განვითარებას. ამ მიზნით ის, პირველ რიგში, შეეცადა კულტურული ნაკვეთების და გაშენებული მამულების დაცვას და აღორძინებას. მან აღადგინა ინგლისელების და მენშევიკების დროს განადგურებული ჩაის უდიდესი პლანტაციები, ზომით 200 დესიატინა, ქობულეთში და ჩოროხში მოაწყო ჩაის მოსაშენებელი საცდელი მინდვრები და ფერმები. გარდა ამ საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მუშაობისა, საბჭოთა მთავრობამ ზომები მიიღო მიწის სიმცირით გამოწვეული კრიზისის შესანელებლად. ამ მიზნით მიწათმოქმედების კომისარიატმა გადასდგა სათანადო ნაბიჯები გაუმჯობესებული სასოფლო სამეურნეო იარაღების შესაძენად და სასოფლო-მეურნეობის მრავალი დარგების—მესაქონლეობის, მეფუტკრეობის, მეაბრეშუმეობის და სხ. განსავითარებლად.

საბჭოთა ხელისუფლების მუშაობა მრავალფეროვანია. დღიდან აჭარისტანის გასაბჭოებისა, მთავრობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია სახალხო განათლების საქმეს. იქ, სადაც მოსახლეობის 99 პროცენტი წერა-კითხვის უცოდინარია, შეუძლებელი იყო რაიმე საამშენებლო მუშაობის წარმოება მშრომელი ხალხის ინიციატივით. საბჭოთა ხელისუფლებამ პირველ ყოვლისა, გასწმინდა აჭარის სკოლები (თუ კი ასეთები სადმე იყო) ნაციონალისტურად განწყობილ მასწავლებელთაგან, გაამრავლა სკოლების რიცხვი მხარეში და გაგზავნა იქ სანდო, გამოცდილი და ფუხარა ხალხისათვის მისაღები მასწავლებლები. ამჟამად აჭარისტანის დაწყებით სკოლებში სწავლობს 3.000 აჭარელი ბავშვი. ბათომში წელს გაიხსნა სამასწავლებლო სემინარია, სადაც მეცადინეობენ მხოლოდ აჭარელი მოწაფეები. ეს სემინარია ამზადებს მასწავლებლებს სპეციალურად აჭარისტანის სკოლებისათვის.

ბათომის საბჭოთა და პარტიულ სკოლაში 95 პროც. მოწაფეებისა აჭარლებია. თუ წინედ აჭარელი ფუხარა უარს ამბობდა ბავშვი სკოლაში გაეგზავნა, ეხლა თვითონ მოითხოვს სკოლების გახსნას და ბავშვის აღზრდას.

საამშენებლო მუშაობა აჭარისტანში გაცხოველებით სწარმოებს: ქობულეთში, ჩაქვში და ქედაში აგებულია ახალი რკინის ხიდები. აჭარის წყალზე შენდება გრანდიოზული ჰიდრო-ელექტრული სადგური. ამ სადგურის აგება ჯდება 1 მილიონი მანეთი ოქროთი.

საბჭოთა რუსეთის მთავრობამ სადგურის ასაგებად შემოსწირა 150,000 ოქროს მანეთი და ამდენივე ამ.-კავ. ფედერატიულმა მთავრობამ.

აჭარისტანის მნიშვნელოვან პუნქტებში (ქედა, ხულო, აჭარის-წყალი) მოწყობილია სახალხო და საშარიათო სასამართლოები, საგამომძიებლო ნაწილები, საექიმო ამბულატორიები, კოოპერატიული დუქნები და სხ.

მთავრობამ დაასრულა სისხლის-აღების ადათის წინააღმდეგ ბრძოლა, რამაც დიდი ნაყოფი გამოიღო. ამის შემდეგ არც ერთ შემთხვევას არ ჰქონია ადგილი სისხლის აღების ადათის ნიადაგზე.

მთავრობის და ადმინისტრაციის ენერგიული მუშაობით, ამჟამად ოლქში სავსებით აღმოფხვრილია ბანდიტიზმი და ქურდ-ბაცაცობა.

ასეთია მოკლეთ საბჭოთა ხელისუფლების მუშაობის სურათი აჭარისტანში. ფუხარა ხალხი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების აქტიური ელემენტია. იგი აღარ წარმოადგენს იმ ღირსება-მოკლებულ პირუტყვს, რომელსაც ბეგები მათრახებითა და როზგებით უმასპინძლდებოდენ. ყოველივე ამას აფასებს ფუხარა ხალხი და საბჭოებში არსებულ ხელისუფლების ერთგულ პირებს ირჩევს.

მიმდინარე საბჭოთა არჩევნები აჭარისტანში ერთხელ კიდევ დაანახვებს ყველას, რომ ფუხარა ხალხი შეგნებულად სდგას საბჭოთა ხელისუფლების ნიადაგზე და კომუნისტური პარტიის დროშის ქვეშ.

მარადიდელი.

ბათომი, 16 ნოემბერი.

პარტიული ცხოვრება

მეტყავეთა შეფობა სოფელ დიდომზე

მეტყავეთა უჯრედი გაემგზავრა 4 ნოემბერს თავის მზრუნველობის ქვეშ აყვანილ სოფელ დიდომში. გლეხობა ოვაციებით შეეგება თავის შეფს; გაიხსნა მიტინგი, სადაც შეფობის მნიშვნელობის შესახებ სიტყვა წარმოსთქვა ამხ. ოქოიანმა. ამხ. მორჩილაძემ გააკეთა მოხსენება გერმანიის მდგომარეობის შესახებ და მისალმების შემდეგ გადასცა გლეხებს წითელი დროშა. ამხ. მირიანაშვილმა გააშუქა საკითხი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ; მიტინგის შემდეგ გაიმართა წარმოდგენა სულთანიშვილის ხელმძღვანელობით და კომკავშირის წევრთა მონაწილეობით.

მუშკორი ლევანა.

ნოქალაქევის რაიონი (სენაკის მაზრა)

17 ოქტომბერს ნაქალაქევის თემის აღმასკომის სამმართველოს შენობაში შესდგა საქ. კ. პ. სენაკის მაზრის ნაქალაქევის რაიონის ორგანიზაციის წევრთა საერთო კრება, რომელსაც დაესწრო—73 წევრი. კრების თავმჯდომარედ არჩეული იქნა ამხ. დომენტი მალანია, მდივნად ალ. ჯოჯუა. დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1, მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობაზე; 2, მოხსენებები ადგილებიდან. 3. არჩევნები, 4. მიმდინარე საკითხები.

საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ისიდორე გურორდავამ, რომელმაც გასაგები ენით ვრცლათ დაახასიათა საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის შინაური და საერთაშორისო მდგომარეობა და აგრეთვე გერმანიაში მომქმედ ძალთაგანწყობილება. მოხსენების შემდეგ გამოტანილ იქნა სათანადო რეზოლიუცია, რომელშიაც კრება აღთქმას სდებს, რომ ყოველმხრივ დახმარება გაუწიოს გერმანიის რევოლიუციონურ პროლეტარიატს.

მოსმენილ იქნა თემკომის მდივნების მოხსენებები ადგილებზე მუშაობის და მდგომარეობის შესახებ და მოხსენება რაი-პარტკომის მდივნის რაიონის მასშტაბით მუშაობის და მდგომარეობის შესახებ. შემდეგ მოხდა არჩევნები რაიონულ კომიტეტებისა; არჩეულ იქნა შემდეგი ამხანაგები: ალ. ჯოჯუა, დომენტი მალანია, ათ. ჯავახია, ივანე ბარქაია, ბესარიონ ხუბუა; კანდიდატებად: იოსებ ყვაჟამია, პეტრე ჭავა. სამაზრო პარტკონფერენციაზე გასაგზავნ დელეგატებათ არჩეული იქნენ: 1, ალ. ჯოჯუა, 2, რომანოზ გამსახურდია, 3. ჩაყუჭავა, 4. ესტატე შაბათავა, 5. ვლადიმერ კორშია, 6. ვლადიმერი შეროზია, 7. პეტრე შავდია, 8. ტარასი არზიანი. მიმდინარე საკითხები გარჩეული იქნა.

კრებამ მიიღო წინადადება გერმანიის მებრძოლ პროლეტარიატის დამხმარე რაიონულ კომიტეტის არჩევის შესახებ და აირჩია კომიტეტში ხუთი კაცი, რომელთაც დაავალა ენერგიული კამპანია აწარმოონ გერმანიის პროლეტარიატის სასარგებლოდ შემოწირულებათა შესაგროვებლად.

ა. ფოტინეშვილი.

ეკონომიური ცხოვრება

ვალიუტის კურსი ტფილისში.

(17 ნოემბერი).

ჩერვონცები — — —	120,000
გირ. სტერლინგ. ეფექტ.	113,500
ჩეკები —	105,000
დოლარები ეფექტ. —	26,000
ჩეკები	24.000
ოსმ. ქალ. ლირა	14.000
იტალიური ლირა	770
ფრანგული ფრანკი	1155
საბჭ. ფულის ნიშნები	12

მოსკოვის ფასები.

პური 1 ხარ.—600 ათ., პური 2 ხარ.—450, ძროხის ხორცი—1500 მ. ცხვრის ხორცი—1,850 ათ. შაქარი რაფინადი 5600 ათ., ფხვნილი შაქარი 3475 ათ., ვერმიშელი—1680 ათ., კარტოფილი—225 ათ. მაკარონი 1795 ათ. ბრინჯი აღდ.—1,100 ათ.

ტფილისის ბაზრის ფასები.

პური 1 ხარ.—650—800 ათ. პური 2 ხარ—500 ათ., ძროხის ხორცი 1700—1800 ათ., ცხვრის ხორცი—2 მილ. შაქარი რაფინადი—5,700 ათ., ფხვნილი შაქარი—3,700 მაკარონი—1,800. კარტოფილი—250 ათ.

ბირჟის მიწოდება.

ლაგოდეხის თამბაქო 1-ლი ხარის. ლურსმანი. ფხვნილი შაქარი რუს. და გოლანდიური შაბიაბანი. კანიფოლი სპილენძი. ჩაი რუს. და იტალიური მანუფაქტურა. ქიმიური ნაწარმოები კაუსტიკი სოდა. ასანთი. საპონი. ოლიფას ზეთი. მზესუმზირის ზეთი. ცემენტი და ეტერნიტი. რკინეულობა. ყუბანის საკანდიტერო ფქვილი. ელექტრო-მექანიკური მასალა. ქვამარილი ნახჩევნის. საბზა. ყუბანის ფქვილი. მაკარონი და ვერმიშელი. უკრაინის 2 ხარ.

ბირჟის მოთხოვნილება.

ფხვნილი შაქარი რუს. შაქარი რაფინადი. რუს. მანუფაქტურა. სალომა. ი. პორტლანდის ცემენტი. რკინეული. ყუბანის საკანდიტ. ფქვილი. ტეხნიკური ცხიმი. ლურსმანი. ჩაი. ასანთი რუს. ელექტრონის ლამპები.

ოფიციალური გარიგებანი.

რუსული მანუფაქტურა „გლავხლოპკომ"-ის პრეისკურანტის ფასებში.

საქონლის ბაზრის განწყობილება.

პურეულის და ხორბლეულის ბაზარზე უწინდებურად სუსტია; დანარჩენ ბაზრებზე მდგომარეობა უცვლელია.

ბირჟის გარეშე გარიგებანი.

15 ნოემბერს ბირჟის გარეშე დადებულია 24 გარიგება. სულ 183.918 ჩერვ. მან. თანხისა.

ვალიუტის ბაზრის განწყობილება.

ვალიუტის მიწოდება სუსტია, მოთხოვნილება პირიქით იზრდება. ჩერვონცების და უცხო ვალიუტის კურსმა კვლავ აიწია. საბჭ. ფულის ნიშნები—უცვლელია.

საქართველოს აგრონომთა ყრილობა

აგრონომიული ქვეგანყოფილების მოქმედება.

ქვეგანყოფილებას მიმდინარე წლის განმავლობაში გაუხსნია 50 გასაქირავებელი პუნქტი მოსახლეობისათვის სასოფლო-სამეურნეო იარაღების და მანქანების მისაწოდებლად, მოეწყო 40-მდე საჩვენებელი მინდორი.

ფილოქსერით დაზიანებული ვენახების აღსადგენად ამერიკული მწარე ლერწის უკმარობის სანერგების გამო თელავისა და სიღნაღის მაზრაში გახსნილი იქნა კურსები, სადაც ადგილობრივი გლეხობა ლერწზემყნობას სწავლობდა.

ამავე დროს ქვეგანყოფილება ჰკრეფდა იმ ინვენტარს, რომელიც არევდარევის დროს სხვადასხვა ალაგს იყო გაბნეული. შეგროვილია და შეკეთებულია გაბნეული ინვენტარის 75 პროცენტი.

ვინაიდან გლეხებისათვის თესლეულობის მიწოდების საჭიროება ისე მწვავე არ არის, „ცენტრო მთესი" და სამაზრო სათესი კომიტეტები გაუქმებულია და მათი ფუნქციები გადაეცა აგრონომიულ დახმარების ქვეგანყოფილებას.

ამას წინად სესხად გაცემული ხორბლეული უკვე იკრიბება, იწმინდება ტრიერებით და დეზინფექცია უკეთდება. საჭიროების დროს გაწმენდილი და დეზინფექციაქმნილი ხორბლეული კვლავ მიეცემათ სესხად.

მეორე სხდომა.

მოხსენებანი ადგილებიდან.

თელავის მაზრა.

თელავის მაზრაზე მოხსენებას აკეთებს მაზრის აგრონომი ამხ. საყვარელიძე, რომელიც, იძლევა რა მაზრის გეოგრაფიულ და ნიადაგის თვისებათა დახასიათებას, ჩერდება ამ თვისებათა მიხედვით საგრონომიო ორგანიზაციის მიერ შედგენილ გეგმაზე, რომელშიაც მთავარი ყურადღება ჰქონდა მიქცეული მაზრის სასოფლო-მეურნეობის ძირითად დარგებს: მევენახეობას და მეღვინეობას.

ვინაიდან მხოლოდ თელავის მაზრის მამულების აღსადგენად საჭიროა ასი მილიონი დამყნილი ვაზი, ხოლო არსებულ სანერგეებს ამ რაოდენობის მოცემა არ შეუძლია, მაზრაში განყოფილება ასწავლიდა მოსახლეობას ვაზის მყნობას და გლეხებმაც მოაწყვეს თავის საჭიროების დასაკმაყოფილებლად სანერგეები.

ყურადღება ექცეოდა აგრეთვე მეველეობას, რადგან ყანების მავნე მცენარეებით ავსება საშუალოდ 25 პროც. უდრის. ამ მავნე მოვლენის თავიდან ასაცილებლად შემოღებულ იქნა თესლის ტრიერით გაწმენდა და მიწის რაციონალური დამუშავება.

თიანეთის მაზრა.

თიანეთის მაზრის აგრონომს ამხ. შატბერაშვილს მოჰყავს ციფროვანი ცნობები მოსახლეობაზე და მიწის დანაწილებაზე მეველეობისა, მებაღეობისა და მესაქონლეობისათვის. უკანასკნელი წარმოადგენს რაიონის სასოფლო მეურნეობაზე მთავარ დარგს. მთელი გაბნეული ინვენტარი ამჟამად უკვე შეკრებილია 5 პროცენტის გამოკლებით.

გორის მაზრა.

ერთი წლის წინად გორის მაზრას ერთი აგრონომის მეტი არ ჰყავდა, ამჟამად მას ჰყავს აგრონომიული პერსონალი, რომელიც 17 მოსამსახურეს შეიცავს. კარგად არის დაყენებული ლექციების და საუბრების საქმე. წლის განმავლობაში გაიმართა 100-ე ლექცია-საუბარი.

გაბნეული იარაღებიდან შეგროვილია 80 პროცენტი, აქედან ნახევარი შეკეთებულია. გლეხობისათვის სათესლე მასალის მიწოდება გეგმა-შეწონილად სწარმოებს.

პროფკავშირებში

მედსანმუშაკთა კავშირის სრულიად საქართველოს მესამე ყრილობა

მესამე და მეოთხე სხდომა.

მოხსენებამ ადგილებიდან გამოარკვია, რომ მედ.-სანტ. მუშაკთა მდგომარეობა მაზრებში მძიმეა. ხელფასის მიცემას სახელმწიფო მინიმუმის მიხედვით 3—4 თვით აგვიანდება. შრ. დაცვის კოდექსი უმრავლეს შემთხვევაში არ ტარდება. ზოგი სამაზრო აღმასკომი მედ.-სანტ. მუშაკთა კავშირთან კოლექტ. ხელშეკრულებაზე უარს ამბობს, რაც მეტად ცუდათ მოქმედებს მედ. მუშაკებზე და საერთოდ ჯანმრთელობის საქმეზე. კავშირს არა აქვს მტკიცე კავშირი პროვინციასთან.

საურთიერთო დახმარების კასის სასარგებლო კამპანიამ ჩინებული ნაყოფი გამოიღო: მაზრაში 70—100 პროცენტი, ხოლო ქალაქში 89 პროც. ითვლება კასის წევრებად.

ინდივიდუალურ წევრობაზე გადასვლამ აგრეთვე კარგი ნაყოფი გამოიღო.

ყრილობა კავშირისგან მოითხოვს მეტი ყურადღების გამოჩენას უმუშევრებისადმი, რომელთა რაოდენობა 881 კაცს უდრის. ყრილობა გამოსთქვამს სურვილს, რათა შეიქმნეს როგორც ქალაქში, ისე მაზრებში კომისიები, რომელთაც დაევალებათ მუშაობა უმუშევართა შორის.

ყრილობა მოითხოვს აგრეთვე კავშირის ცენტ. გამგეობის ტეხნიკ. აპარატის შემცირებას.

ჯან. სახ. კომის. მოხსენება.

ჯან. სახ. კომის. მოხსენების მოსმენის შემდეგ ყრილობა მოითხოვს კომისარიატისგან მომავალში შემდეგ საკითხებს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს: 1) მედ.-სანიტ. მუშაკთა ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესებას რესპუბლიკის მასშტაბით, 2) სასოფლო სამკურნალო ქსელის გაფართოვებას. მშრომელთათვის სამკურნალო დახმარების გასაუმჯობესებლად ყრილობა აუცილებლად სთვლის რესპუბ. კურორტების ექსპლოატაციის შემოსავლის გადიდების მიზნით.

ვეტ. განყოფილების მუშაობა ყრილობის მიერ მოწონებულ იქნა.

საორგანიზაციო მუშაობის დარგში ყრილობა მოითხოვს კავშირიდგან ადგილობრ. ორგანიზაციების განმტკიცებას ინსტრუქციების მიცემით და პირადი დათვალიერების გზით.

საკავშირო ფინანსების გასაჯანსაღებლად ყრილობას საჭიროთ მიაჩნია როგორც ცენტრის, ისე ადგილობრივი ორგანიზაციების სახარჯთაღრიცხვო არსებობაზე გადასვლა.

კულტ. განმანათლ. დარგში ყრილობა მოითხოვს კლუბების მოწყობას და ესალმება კედლის გაზეთების შემოღებას.

სანიტ. ეკონ. მუშაობის დარგში ყრილობას საკმარისად არ მიაჩნია მაზრების ადგილობრივი ბიუჯეტი, რის გამო საშინელია პროვინციის მედ. სანიტ. მუშაკთა მდგომარეობა, რომლის გასაუმჯობესებლად ყრილობა მოითხოვს უფრო მაგარი პოლიტიკის წარმოებას სამაზრო აღმასკომების მიმართ.

ც. გ. წინადადება ეძლევა გამოითხოვოს დოტაციები კომისარიატიდან ჯანმრთელობის საქმისათვის.

ახალი ცენტრალ. გამგეობა ახალ ცენტ. გამგეობაში არჩეულნი არიან: ამხ. ამხ. საბაშვილი, მიხაილოვი, კობახიძე, ჯულელი, სიკინჭალაშვილი, იაკობაშვილი, ქუთათელაძე, ბლინოვა, ბოროვიკოვი, ოლხოვი, დარახველიძე, ნარჩინაშვილი, ბეჟანოვი, ლიახოვი და კუჭაიძე.

კანდიდატებად: ბარამიძე, კვანტალიანი, თარხანოვა, ქარსუმოვი, ბაშალაშვილი; სარევიზიო კომისიაში: ვაწაძე, კაჩხოევი და ბოლოტინი; კანდიდატებად: ქალანთარია და კანდელაკი.

მელითონეთა კავშირის სრულიად საქართველოს მეოთხე ყრილობა

მეოთხე სხდომა

ლითონის დამმუშავებელ მრეწველობის მდგომარეობა.

მომხსენებელი ამხ. მამასახლისოვი მოკლეთ შეეხო ლითონის დამამუშავებელ მრეწველობის დღევანდელ ვითარებას და უფრო ვრცლად შეჩერდა მის პერსპექტივებზე. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ საქ. ლითონის დამამუშავებელ მრეწველობას აქვს თავის გასანვითარებლად იშვიათი ხელსაყრელი პირობები: საქართველოში მოიპოვება შემდეგი ლითონები: თუჯი, სპილენძი, მარგანეცი, ტყვია და სხვა. აგრეთვე მრავლად არის ქვანახშირი, ნავთი და დასასრულ ჩვენი ქვეყანა მდიდარია თეთრი ნახშირით.

თანამომხსენებელი ამხ. კალანდაძე შეეხო ლითონის დამამუშავებელ მრეწველობის მდგომარეობას ამჟამად. მომხსენებელმა შესძლო მრეწველობის ნათელი სურათის მოცემა და დაასახელა ის მიზეზები, რომელნიც ხელს უშლიან ლით. დამმუშ. მრეწველობის ნორმალურ განვითარებას და აღორძინებას.

მოხსენების შესახებ მიღებულ რეზოლიუციაში ყრილობა მიუთითებს მრეწველობის ამაღორძინებელ და გამაჯანსაღებელ საშუალებებზე.

რეზოლიუცია საჭიროდ აღიარებს ყველა ადგილობრივ ორგანოების მიერ გაცემულ შეკვეთების ს. მ. უს. ლითონის განყოფილებაში თავის მოყრას. აუცილებლად არის აგრეთვე ცნობილი ლითონის განყოფილების მიერ კომერციულ-ადმინისტრატიული დარგის თავის სიმაღლეზე დაყენება. ამ გარემოებას ყრილობამ მიტომ მიაქცია ყურადღება, რომ ლითონის განყოფილება საკმაო უნარიანობით ვერ მიუდგა ადგილობრივ ბაზრის საჭიროებას, რის გამოც მთელი რიგი შეკვეთების გადაეცა უცხოეთის სხვადასხვა წარმოებას. ყრილობამ საჭიროთ აღიარა აგრეთვე მრეწველობის აღდგენის საქმეში ცენ. გამგეობის [illegible] განოებთან მჭიდრო კონტაქტის დამყარება.

მეხუთე სხდომა.

უმუშევრობა.

უკანასკნელ სხდომაზე ყრილობამ მოისმინა ამხ. მიქაძის მოხსენება უმუშევრების შესახებ. მომხსენებელი შეეხო უმთავრესათ უმუშევრობას მელითონეთა შორის. სულ უმუშევარ მელითონეთა რიცხვი უდრის 700 კაცს, რომელთაგან 294 კავშირის წევრია. ამავე დროს საჭიროა აღინიშნოს, რომ კავშირის 294 წევრში ასე თუ ისე კვალიფიციურ მუშაკათ შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ 83 კაცი. ამ გარემოებით აიხსნება ის მოვლენა, რომ შრომის ბირჟას არ შეუძლია დააკმაყოფილოს მრეწველობის დიდი მოთხოვნილება ლითონის მრეწველობის კვალიფიკაციურ მუშაკებზე.

ის ერთ [illegible] ყრილობა სთვლის უმუშევრების პროფტეხნიკურ კურსებზე ჩარიცხვას მათი კვალიფიკაციის მაქსიმალურ დონეზე ასაყვანად.

კოოპერაციაზე მოხსენების მოსმენის შემდეგ, ყრილობა ირჩევს ცენტ. გამგეობას და სარევიზიო კომისიას.

ახალი ცენტ. გამგეობა.

ახალ გამგეობაში არჩეული არიან შემდეგი ამხანაგები: მაჩაიძე, ახტიაროვი, უსოვი, დავიდოვი, დმიტროპულო, ვედერკო, ვარსამიშვილი, პრეობრაჟენსკი, ლაბანოვი, ჩოდრიშვილი, ნ. კიკნაძე; კანდიდატებად: იუზბაშევი, იზიუმსკი, ეგოროვი და სკალსკი.

სარევიზიო კომისიაში: ამხ. ამხ. სიტნიკოვი, სხირტლაძე, მაქსიმოვი; კანდიდატებად: საკსაკანსკი, კოკანაშვილი.

ადგილობრივ ტრანსპორტზე მომუშავეთა სრ. საქართვ. მესამე ყრილობა

მეოთხე სხდომა.

კულტ-განმანათლებელ საკითხზე მიღებულ თეზისების თანახმად მომავალმა ცენტ. გამგეობამ მთავარი ყურადღება უნდა მიაქციოს პროფესიონალური იდეების პროპაგანდა-აგიტაციას საკავშირო მასაში. ამ მიზნის მიღწევის ერთ-ერთ ძლიერ საშუალებად ყრილობას მიაჩნია საკავშირო პრესა, რომლის მაქსიმალურ გავრცელებას საკავშირო მასაში კავშირმა ხელი უნდა შეუწყოს. პრესაში საკავშირო ცხოვრების გასაშუქებლად კავშირმა, როგორც ცენტ. გამგეობიდან, ისე ქვედა უჯრედებიდან უნდა გამოჰყოს სპეციალური მუშა-კორესპონდენტები.

ყრილობის გადაწყვეტილებით წ. კ. უცოდინარობის ლიკვიდაცია ტრანსპორტზე მომუშავეთა შორის უნდა მოხდეს კავშირის არსებობის 5 წლის თავზე.

ყრილობა წინადადებას აძლევს მომავალ ცენტ. გამგეობას დაუყოვნებლივ შეუდგეს მოსკოვის მზგავსად ავტოკლუბის მოწყობას, სადაც მუშაობაში ჩაბმული იქნებიან ყველა ავტომუშაკები, რომელნიც სამეცნიერო ტეხნიკურ ძალებთან გაერთიანებულნი შეისწავლიან საავტომობილო და სატრანსპორტო საქმეს.

ყრილობამ მიიღო რა მხედველობაში, რომ კულტ-მუშაობის შეუჩერებელი წარმოება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კულტ-ფონდი ძლიერი იქნება, აუცილებლად აღიარა სამეურნეო ორგანოებიდან ანარიცხების თავის დროზე და სრული აკრება.

სატარიფო-ეკონომიურ დარგში ყრილობამ მიიღო რა მხედველობაში, რომ კოლექტ. ხელშეკრულებათა საშუალებით საკმაოთ ამაღლებულია შრომის ხელფასი, საჭიროთ სცნო მომავლისათვის შეჩერებულ იქნეს ხელფასის გადიდება, რათა ამ გზით შესაძლებელი გახდეს სატრანსპორტო წარმოების წინსვლა. ყრილობა ავალებს ცენტ. გამგეობას ებრძოლოს ხელფასის თავის დროზე მიუცემლობას.

ეკონომიურ მუშაობის დარგში კავშირს ევალება სამეურნეო ორგანოების მუშაობაში მონაწილეობა მიიღოს. რამდენადაც კავშირს ნათელი წარმოდგენა უნდა ჰქონდეს სამეურნეო ორგანოების რესურსებზე, იმდენად ცენტ. გამგეობას ევალება მონაწილეობა მიიღოს, როგორც სამეურნეო ორგანოების ჩამოყალიბების და მათი მუშურ დაწესებულებათ გადაქცევის საქმეში, ისე სამეურნეო ორგანოების მიერ საწარმოო მუშაობის გეგმისა და პროგრამის შემუშავებაში.

საორგანიზაციო დარგში გაწეულმა მუშაობამ საკავშირო ორგანიზაციები საკმაოდ განამტკიცა, შემდეგში ცენ. გამგეობამ ეს მუშაობა უფრო უნდა გააღრმავოს და სავსებით განახორციელოს ლოზუნგი „მასებთან ახლოს". ადგილებთან კავშირის განსამტკიცებლად ცენტ. გამგეობას ევალება ძირითად ორგანიზაციების ხშირ-ხშირი დათვალიერება.

განსაკუთრებით სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე წევრთა საურთიერთო დახმარების კასაში ჩარიცხვას.

მეხუთე სხდომა.

უმუშევრობა.

უმუშევრობის საკითხმა ყრილობის დიდი ინტერესი გამოიწვია, რაც აიხსნება მით, რომ ტრანსპორტის მუშაკთა შორის უმუშევრობა ყოველდღიურად მატულობს, ხოლო უმუშევრობის ლიკვიდაცია კავშირს საკუთარი საშუალებით არ შეუძლია.

უმუშევრობა მეტრანსპორტეთა შორის გამოწვეულია უმთავრესად სატრანსპორტო წარმოებათა მერყევი მდგომარეობით.

უმუშევართა მძიმე მდგომარეობის შესამსუბუქებლად ყრილობას აუცილებლად მიაჩნია უმუშევართა ფონდის რაციონალური გამოყენება.

თვლის რა ყრილობა უმუშევრობის ერთ-ერთ წყაროდ მუშების უმართებულოდ დაქირავებას და დათხოვნას, წინადადებას აძლევს ცენტ. გამგეობას მჭიდრო კონტაქტი იქონიოს შრომის ბირჟასთან ზემოხსენებულ მოვლენასთან ბრძოლის საწარმოებლად.

ახალი ცენტ. გამგეობა.

დღის წესრიგის ამოწურვის შემდეგ, ყრილობა შეუდგა ცენტ. გამგეობის და სარევიზიო კომისიის არჩევნებს. ახალ ცენტ. გამგეობაში შედიან შემდეგი ამხანაგები: გეიდენი, სორონიანი, შველიძე, ანტონიანი, მზარეულიშვილი, მელაძე, თოდრია, მახარაძე, გიგაური, გრენტალი, ლომთათიძე (ფოთი), კალანდაძე, პატარაია (ბათომი), ანასტასიდი (სოხუმი), ლაპკინი. კანდიდატებად: ვაგნერი, მიქაბერიძე, მიქელაძე.

სარევიზიო კომისიაში: ასტვაწატუროვი, ქანანოვი, სიხარულიძე ფრულიძე, ვარბენკო.

ყრილობის დასასრულ ძველი ცენ. გამგეობის სახელით ამხ. გეიდენმა ჩააბარა დროშა ფოთის განყოფილების წარმომადგენელს ამხ. ლომთათიძეს და თან დასძინა, რომ თავისი კეთილსინდისიერებით და თავდადებული მუშაობით ფოთის მეტრანსპორტეებმა ცენტ. გამგეობის განსაკუთრებული ყურადღება დაიმსახურეს მით, რომ ყოველგვარ დაბრკოლებათა მიუხედავათ მათ ბრწყინვალედ შეასრულეს დაკისრებული საქმე. ყრილობა დროშის ჩაბარებას მხურვალე ტაშით ეგებება.

ქრონიკა

— **ახალგაზრდა უმუშევრების თავშესაფარი.** შრ. სახ. კომისარიატმა დაადგინა ახალგაზრდა უმუშევართა თავშესაფარის გასახსნელათ წარმოდგენილი ხარჯთ-აღრიცხვა დასამტკიცებლათ გადაეცეს სახ. კომისართა საბჭოს.

— **დაზღვეულთა რაოდენობა.** საქართველოში 1 ოქტომბრამდის აღრიცხვაზე ირიცხებოდენ 5,500 დაწესებულება-წარმოება, რომლებშიაც ამ ჟამად ირიცხება 60,000 დაზღვეული მუშა-მოსამსახურე.

— **სოც. დაზღვევის სამმართველოში.** სოციალურ დაზღვევის სამმართველოს უფროსად დაინიშნა ამხ. არჩილ მიქაძე და მის მოადგილეთ ამხ. ლოლობერიძე.

— **მიწების დათვალიერება.** ქ. აღმასკომის მიწათ-მოქ. განყოფილებამ ივლის-სექტემბრის განმავლობაში მოახდინა მიწების დათვალიერება მათი ხარისხების მიხედვით, სივრცით—32,762 დესეტინა.

— **ახალგაზრდა უმუშევრების სექციის აღდგენა.** შრომის კომისარიატის დადგენილებით, შრომის ბირჟასთან აღდგენილ იქნა ახალგაზრდა უმუშევრების სექცია.

— **ახალი სანატორიუმი.** შრომის სახ. კომისარიატმა დაავალა სოციალურ დაზღვევის სამმართველოს და ტფ. დამზღვევ კასას ერთ-ერთ აგარაკზე გახსნას საზამთრო სანატორიუმი. ავადმყოფ მუშა-მოსამსახურეებისათვის.

— **მოგონებათა კრებული.** გამოვიდა მოგონებათა კრებული „ოქტომბრის გზით", საქ. კომპარტიის ცენტრ. კომ. საგიტაციო საპროპაგანდო განყ. გამოცემა.

— **ახალი წიგნი.** გამოვიდა ქართულ ენაზე ი. ფლეროვსკის: „ოქტომბრის რევოლიუცია და ახალი ეკონომიური პოლიტიკა" გამოცემა საქ. კომპარტიის.

— **შრომის ბირჟის სექციათა რევიზია.** შრომის სახ. კომისარიატის დადგენილებით შესდგა სპეციალური კომისია, რომელსაც დაევალა ახლო ხანში მოახდინოს შრომის ბირჟასთა არსებულ ყოველ სექციების რევიზია

— **ტანისამოსის შეძენა ცეცხლის მქრობელ რაზმისათვის.** ქ. აღმასკ მის მცირე პრეზიდიუმმა დაადგინ შეძენილი იქნას ცეცხლის მქრობე რაზმისათვის 47 ცალი თბილი ზედ ტანისამოსი და 112 ც. თბილ შარვალი.

— **თეატრების დარბაზები.** ქ. აღ მასკომმა დაადგინა ყველა დარბაზ ტფილისში ჩაითვალოს აღმასკომ საკუთრებად. პატარა თეატრ და ცირკის შენობებიც გადაე აღმასკომს.

— **რძის ანალიზი.** ქალ. ქიმი ლაბორატორიის მიერ 1923 წ 9 თვის განმავლობაში ანალიზი გ კეთდა ქალაქში გასაყიდ რძეს 16 ჯერ, აქედან წყალ-ნარევი აღმოჩ 440-ჯერ.

— **შრომის ბირჟა.** 16 ნოემბ აღრიცხვაზე გამოცხადდა—61 შევარი, ახლად ჩაეწერა—56, ს შაოზე გაიგზავნა—70 უმუშევარ

— **„ნიანგი".** გამოვიდა ჟურ ნიანგის მორიგი № 13.

— **„განთიადი".** გამოვიდა თული ენის სახელმძღვანელო მის სკოლის მესამე წლისათვის თიადი".

— **ახალი ჟურნალი.** ამხ. ა. ნიძის, კ. თოფაძის, კ. შენგ არ. რუხაძის და გ. ვარდოიანი დაქტორობით გამოვიდა ყოვე რეულ ჟურნალ „სიმართლის პირველი ნომერი. ჟურნალში სებულია შემდეგი წერილები

მუშათა ცხოვრება

გულითადი მადლობა

ომში დაჭრილ-დასახიჩრებულთა ე-შ-მე სახლში მცხოვრებ ინვალიდთა კულტურული კომისია ულრმეს მადლობას უცხადებს მელითონეთა განყოფილების სათავეში მდგომ ამხ. გარინს 7 ნოემბერს დახმარების აღმოჩენისათვის. აგრეთვე მადლობას უცხადებთ განათლების კომისარიატს შემდეგი საგნების შემოწირვისათვის: რვეულები 154, ცალი წიგნები—„ჩვენი სკოლა" 35 ცალი, ფანქრები 12 ცალი, კალმისტარი 24 ც., მელანი—1 ბოთლი და ცარცი 1 გირვანქა.

კომისია.

მუშკოპის ზედმეტი ბარგი

ამ წერილში მე მინდა შევეხო მუშკოპის გამგეობის ერთს საინტერესო და იშვიათ ფიგურას, რომელიც შედის გამგეობაში—წევრად და რომელიც ამ უკანასკნელში თამაშობს ისეთ „როლს", რომ მას წინ ვერავინ დაუდგება. არც ერთი მუშა მას არ მოსწონს, რაღაც ინტრიგანობას ეწევა მუშებს შორის, ვისაც უნდა მაღლიდან ძირს ჩამოაგდებს, ვისაც უნდა დაბლიდან მაღლა ასწევს. თუ მუშა შეეკითხება რამეს თავის პირვარამზე, ის იმ წუთშივე გზას უჩვენებს და უყვირის: „Вон на Биржу"... მუშა იძულებულია თავი ჩაკიდოს და გაჩუმდეს, რათა ადგილი არ დაეკარგოს. ხშირად მუშებს სწამებს ცილსაც: „ის ლოთია, ის ნასწავლი არ არის, „ჩეკების" გამოწერა არ იცის და უნდა დავითხოვო; ჩვენ ნასწავლი ხალხი გვინდა"-ო (არ დაგავიწყდეთ, მკითხველნო, რომ ეს უსწავლელი ხალხი არიან პატიოსანი მუშები და სპეცები თავიანთ საქმისა). ალბად ნასწავლი ხალხი (თავისიანი) ეყოლება სადმე მომარაგებული და იმიტომ არ მოსწონს უსწავლელი ძველი მუშა. ყველა მუშა, გინდა გარედ და გინდა შიგნით, (თუ მისიანი არ არის) ყველა ზიზღით უყურებს მას, მაგრამ არავის არ შეუძლიან ხმა გასცეს მას და თუ გასცა, ის უეჭველად წავა „ბირჟაში". მე პირადათ ბევრჯერ მომსვლია ლაპარაკი მასთან მუშების შესახებ, და იმას ჩემთვის უპასუხებია: „Вы незащищайте их". როგორი საქმეა ეს?

ჩვენ თუ მუშას არ დაუჭირეთ მხარი, მაშ ვისთან უნდა ვიყოთ? ალბად იმათთან, როგორც თვითონ ბრძანდება. ეს კი არასოდეს არ მოხდება, სანამ მუშათა კლასი იარსებებს.

ბოლოს და ბოლოს მკითხველი შეგვეკითხება, თუ ვინ არის ეს პიროვნება? ეს პიროვნება გახლავთ „ამხ." ნ. ვ. ლინდორფი, რომელიც სულ ეტლით დასეირნობს, დაქანაობს და რასაც მუშები სთხოვენ, იმას კი ყურს არ უგდებს ვინც მასთან სვამს, ის კარგია, და ვინც არა ის სრულიად უვარგისია (თვალში არ მოსდის). ბევრს რამეს სჩადის „ამხ." ლინდორფი, მაგრამ მას არავინ აქცევს ყურადღებას და ძველებურად განაგრძობს თავის უმსგავსო ყოფა-ქცევას. ნეტავ, ადგილკომი რას აკეთებს? ნუ თუ იმან არ იცის, ვინც არის ეს ვაჟბატონი? მან იცის, მაგრამ ჩუმად არის, ალბად მეგობრული ურთიერთობა აქვთ!

ასეთი შეურაცმყოფელი მუშათა ორგანიზაციის პრესტიჟის და მუშების მტერი, აუცილებლად უნდა აილაგმოს და ზედმეტი „ხაზეინი" მუშათა ორგანიზაციიდან აუცილებლად უნდა იქნას განდევნილი.

მუშკორი ახოთ-ამწყობი

როგორი ურთიერთობაა მუშა-მამაკაცებს და ქალებს შორის ოჯახებში და ქარხნებში

ჩვენ ვიცით, რომ კაცობრიობის მეორე ნახევარს დედაკაცები წარმოადგენენ და მაშასადამე, სახელმწიფო მართვა-გამგეობაშიაც ისეთივე უფლებებით უნდა იყვენ აღჭურვილნი, როგორიც მამაკაცებს აქვთ. პარლამენტალურ ქვეყნებში ყველა საკითხები დედაკაცის დაუსწრებლად და დაუკითხავად წყდება ბურჟუა—მამაკაცების მიერ. დედაკაცების ასე აბუჩად აგდება იქ სრულიად ბუნებრივია, რადგანაც ეს უკანასკნელი ისე ჰყავთ წარმოდგენილი, როგორც რომელიმე გასართობი საგანი და ამისათვის ცდილობენ, რაც შეიძლება მეტ სიბნელეში იყოლიონ დედაკაცები, რომ უკეთესად იბატონონ მათზე. საბჭოთა ქვეყნებში კი დედაკაცის „უუფლებობას" სამუდამოდ ბოლო მოეღო და ჩაბარდა ისტორიის არქივს. დედაკაცი დღეს პოლიტიკურად და უფლებრივად გათანასწორებულია მამაკაცთან და იგი ეწევა სახელმწიფო აღმშენებლობას შეძლებისდაგვარად. როგორი შეხედულობისაა მუშა-კაცი დედაკაცზე ოჯახში და ქარხნებში? უწინ, და ზოგიერთ შემთხვევაში ეხლაც მუშა ისე უყურებს თავის გვერდზე მდგომ მუშა-ქალს, როგორც თავის მეტოქეს. მას ჰგონია, რომ შრომის ხელფასის სიმცირე აიხსნება დედაკაცების ქარხნებში მუშაობით. ასეთ შეხედულობას შეიძლება კაპიტალისტურ ქვეყნებში ჰქონდეს ადგილი, რადგანაც იქ მექარხნეები შრომის ხელფასს იმდენს არ აძლევენ დედაკაცს, რამდენსაც აძლევენ მამაკაცს დედაკაციც ძალაუნებურად სთანხმდება მცირე ხელფასზე და ის იქ მართლა მამაკაცის მეტოქედ გამოდის. სულ სხვა კანონებია გამოცემული საბჭოთა ქვეყნებში აქ შრომის ხელფასი ერთნაირად ეძლევათ, როგორც მამაკაცს: ის დედაკაცსაც და ამ ხრივ ჩვენი მუშა-დედაკაცის მეტოქეობიდან სრულიად თავისუფალია. ქალების უფლებობა უფრო ჩვენი მუშების ზოგიერთ ოჯახებში უნდა მოვძებნოთ. სამწუხაროდ ზოგიერთი მუშაც არა უკეთ უყურებს თავის ცოლს, ვიდრე რომელიმე ძველი ბატონი. ხშირად ცოლი მთელ თავის სიცოცხლეს თავის ქმრის მონობაში ატარებს, რადგანაც იგი ეკონომიურად დამოკიდებულია თავის ქმრისაგან. ამისათვის ავგუსტ ბებელი ასეთს დედაკაცებს „მონათა მონებს" უწოდებს თავს ნაწერებში. საზოგადოთ, დედაკაცები სულიერ ტანჯვასაც ბევრს იტანენ. მათ ასეთ მორჩილობაზე გავლენას ახდენს გათხოვების დროს მშობლების დარიგება. „აჟია თუ კარგიაო, ქალო, შენი ქმარიაო". ებრაელთა სინაგოგაში, ეგ. წოდ. საკურთხეველში, დღესაც დედაკაცს უფლება არა აქვს, რომ შევიდეს და ილოცოს. მას აკრძალული აქვს შესვლა იქ, როგორც „უწმინდურს". ვინ უნდა გაანთავისუფლოს დედაკაცები მამაკაცების გავლენისაგან და მათი მონობისაგან?! დედაკაცი სრულიად განთავისუფლდება მაშინ, როდესაც ისინი ეკონომიურად დამოუკიდებელი იქნებიან მამაკაცებისაგან, როდესაც ისინი აღარ იქნებიან მამაკაცების ჯიბის მაყურებელნი. საბ. ქვეყნებში შორის აღარ არის ის დრო, როდესაც დედაკაცს ჩამოშორდება ბავშვების აღზრდა, სარეცხის დარეცხა, საჭმლის მომზადება და სხვა, მაშინ ექნება თავისუფალი დროც, რათა განვითარდეს პოლიტიკურად და შეიტანოს თავისი წვლილი სოციალისტურ სახელმწიფოს შენებაში. ჩვენი მუშების აზროვნება-ყურადღებაც აქეთკენ უნდა იყვეს მიმართული.

გაუმარჯოს მუშა-ქალების სრულ განთავისუფლებას! გაუმარჯოს სწორ უფლებიან დედაკაცს!

მუშკორი მკ—ლი ნიკო.

გაუსწორებელ ლოთს მუშას ჩვენთან რაღა უნდა?!

საქართველოს გასაბჭოების პირველ დღიდანვე ჩვენი მოწინავე ამხანაგები შეუდგნენ კულტურულ მუშაობას. მათ შესძლეს ფაბრიკა-ქარხნებში უსწავლელ მუშებისათვის სასწავლებლების მოწყობა. გარდა ამისა ძლიერ გახშირდა მუშათა კლუბების გახსნა. მაგრამ, ჩვენდა საუბედუროთ, ზოგიერთ მუშას არ შეეტყო არავითარი განვითარება და ისინი ჩვეულებრივად დაიარებიან ღვინის სარდაფებში გამხეცებული სურვილის დასაკმაყოფილებლად და თავიანთ შრომის ხელფასს უკანასკნელ კაპეიკამდის სტოვებენ ღვინის სარდაფში ამისთანა მაგალითები ძალიან ხშირია. მე შემიძლია შევეხო ერთ მაგალითს: მეორე რაიონის „კინო-პალასის—ელექტრო-სადგურის მანქანის ზეთის ჩამსხმელი ნიკ. ბატიევმა თავის სიმთვრალით და ქუჩური სიტყვებით შეაბეზრა თავი მთელი „კინო-თეატრის" მუშა-მოსამსახურეთ. რაც შეეხება მე-10 უბნის სამილიციო სამმართველოს, მას არ ჰქონდა მისგან მოსვენება და მათ უხდებოდათ თითქმის კვირაში ორჯერ მაინც დაპატიმრება ხსენებულ ბატიევისა. თავისთავად ცხადია ეს შეუკნებელი მუშა ადგილიდანაც იქნა მოხსნილი. მე საჭიროდ მიმაჩნია, რომ ადგილკომებმა და ქარხკომებმა არ შეიწყნარონ გაუსწორებელი მუშები და საქვეყნოდ გამოააშკარავონ შავ დაფაზედ მათი სახელი და გვარები და მიიღონ ზომებიც, არ მიეცეთ საშუალება მუშების ღირსების შეურაცმყოფელ მუშებს ატარონ მუშის ძვირფასი სახელი.

მუშკორი გ. მ—შვილი

მართლის ხმა 2) წერილი ნოე ჟორდანიასადმი 3) საბჭოთა არჩევნებისათვის 4) ვინ უნდა შეიყვანონ შეცდომაში 5) პოლიტიკურ პარტიათა დაშლა 6) გასამართლების კომედია 7) მარცხი მარცხზე 8) პოლიტიკურ გადასახლებულების შესახებ 9) პატრიოტობის მონოპოლია 10) გერმანიის ამბების გარშემო და სხვა.

— **საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში.** სამშაბათს 20 ნოემბერს, საღამოს 7 საათზე საქართველოს მუზეუმის აუდიტორიუმში (კალაუბნის ქუჩა № 1) მოხდება „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების" ჩვეულებრივი კრება, რომელზედაც პროფესორი ივანე ჯავახიშვილი წაიკითხავს მოხსენებას „ქართული დიპლომატიკის საფუძვლები". კრებაზე გარეშეთაც შეუძლიანთ დაესწრონ.

შემთხვევები:

— ქურდობა. 15 ნოემბერს, ღამით; გაქურდეს მოქ. მელანია ბეშიას ბინა (მცხ. ოლღას ქ. № 47). წაღებულია რამდენიმე მილიარდის ნივთები.

— იმავე დღეს, გაქურდეს მოქ. სკვარცოვის ბინა (სცხ. პანასევიჩის ქ. № 9). წაიღეს 5 მილიარდის ღირებული ნივთები.

— შეპყრობა. 14 ნოემბერს შეიპყრეს გიორგი ფალავანდიშვილი, რომელსაც ბრალდება სხვადასხვა ქურდობა, ჩადენილი სხვადასხვა დროს. ბრალდებული გამოტყდა დანაშაულში.

ხელოვნება

სახელმწიფო ოპერა

„ქეთო და კოტე" ვიქტ. დოლიძის.

სახელმწიფო ოპერის სცენაზე განახლებულ იქნა ვიქტ. დოლიძის ოპერა „ქეთო და კოტე". დოლიძის ეს ნაწარმოები არ წარმოადგენს რაიმე დიდ განძს სერიოზულ საოპერო ლიტერატურაში — უპირველეს ყო- სა იმიტომ, რომ მასში არ არის დაცული სტილი; ოპერის მუსიკალურ ხარეს შეადგენს მსუბუქი მელო- იური მუსიკა, რომელიც მოკლებუ- ია ორიგინალობას. ოპერის ავტორს, ლბათ, მიზნათ არ ჰქონია რაიმე ნსაზღვრული სტილი მიეცა თავის პერაში. ავტორი კარგათ ვერ იც- ბს საოპერო მუსიკის საფუძვლებს, ერის ინსტრუმენტალური აგებუ- ება სუსტია, ოპერაში ხშირია მე- ოდიების განმეორება—ბევრია რე- ტატივები და ეს რეჩიტატივები წერილია როსსინის ოპერის „სე- იელი დალაქის" აშკარა გავ- ნით.

აგრამ როგორც კომიკურ ოპერას ლიძის ნაწარმოებს აქვს უეჭველი ებულება და ის შეიძლება შვენიეროვან განძათ ჩაითვალოს ამედროვე კომიკურ ოპერის ლი- რატურაში (მე არ ვიტყვი ქარ- ლ საოპერო ლიტერატურაში, რად- დოლიძეს თავის ნაწარმოებში ემის სულ არა აქვს აღმოსავლე- ადგილობრივი კოლორიტი, მოქალაქის საქმისა და სი- კუპლეტებისა და ისიც მუსიკა რა, არამედ მსუბუქი ჟანრის სიმ- რაა, რომელიც ჩამოსხმულია სათ- ფორმაში).

თუ ისე, დოლიძის ეს ოპერა ლი მოსასმენია და ის მეტად ულ განწყობილებას ქმნის აუ- რიაში.

დგმული იყო ეს კომიკური ოპე- დგილობრივ კოლორიტისა, ყო- ხოვრებისა და ტიპების დიდის ით.

ოთ თუ გინდ ვაჭარი მაკარი, პიური ტფილისელი ვაჭარი, იც სცნობს მხოლოდ ერთს —ფულების კულტს და რო- მხოლოდ ერთ იდეალს მის- დაუნათესავდეს „თავადს" და ქალი გახადოს „თავადის ცო-

თ დამახასიათებელ ტიპს იძ- მ პარტიაში მოქ. ისეცკი—მისი მაკარი ცოცხალი პიროვნებაა და ის ცხოვრებიდან არის ამოღებული.

მოქ. კალანდაძე—აგასოვა მუსიკალური მომღერალია. ის კარგათ ხმარობს თავის ლამაზ ხმას. მომღერალს საკმაოდ დამუშავებული აქვს კოლორატურაც, აქვს ფრაზაც. კალანდაძეს კარგათ უჭირავს თავი სცენაზე. ქეთოს პარტია მშვენივრათ დამუშავებულია, როგორც სცენიურის, ისე ვოკალურის მხრივ. კალანდაძის ქეთო სიცოცხლით სავსე და ლამაზია. მომღერალი თვალყურს ადევნებს მოქმედების განვითარებას სცენაზე. სასურველია მოვუსმინოთ კალანდაძეს სერიოზულ საოპერო რეპერტუარის უფრო პასუხისმგებელ პარტიაში.

კოტეს პარტიას მღეროდა მოქ. კავსაძე.

ტიპიური თავადია მოქ. ელიოზიშვილი. უკანასკნელ დროის განმავლობაში ჩვენ ხშირათ ვუსმენთ მომღერალს და უნდა აღვნიშნოთ, რომ ელიოზიშვილი მუსიკალური მომღერალია და ის ყოველთვის სერიოზულათ და მოფიქრებით ეპყრობა თავის პარტიებს.

მოქ. ერმოლინსკაიას (მარო) და თუმანოვა-მახარაძეს (ბაბუსი) არ მოუციათ დამთავრებული სახეები. მოქ. ერმოლინსკაია ნაკლებ გავს ქართველ თავადის ქალს გრიმითაც და ტექსტის წარმოთქმითაც. მათი პარტიები იმდენათ ეპიზოდიურია, რომ ძნელია რაიმე ითქვას ამ პარტიების შესრულებაზე ვოკალურის მხრივ.

ტიპიური იყო მოქ. ხლებოვსკაია (მაჭანკალი ბარბალე); მსახიობს აქვს უეჭველი კომიკური ნიჭი, ამას თუ დაუმატებთ ხლებოვსკაიას მიერ როლის კარგათ შესრულებას, ჩვენ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ მსახიობს დეტალურათ აქვს შესწავლილი წარსული დროის ტფილისელ მაჭანკლების ტიპი. კარგია გრიმი და ბარბალეს როლის სცენიური გადმოცემის ყველა ხერხები.

კომიკურია სიკო (კურბატოვი) და საქო (ქურხული), ორივეს მეტად კარგათ აქვთ ჩამოყალიბებული თავიანთი პარტიები, განსაკუთრებით სცენიურის მხრით.

ოპერა დადგმული იყო მეტად ლამაზათ. სჩანს ეპოქასთან და კომედიაში გამოყვანილ ტიპებთან დეტალური გაცნობა.

განსაკუთრებით კარგათ არის დადგმული „სასძლოს გადასინჯვის" სცენა—აქ კოლორიტულია ცეკვა. რამოდენიმედ აშარჟებს მოქ. სერგეევი (მოხელე).

დასასრულ არ შეიძლება არ აღინიშნოს ის, რომ ზოგიერთი მუსიკალური პერიოდები ნასესხებია (ქეთოსა და კოტეს დუეტი მესამე აქტში მოგვაგონებს მელოდიას ტრავიატიდან, მაჭანკალ ბაბუსიზე დაცინვის მელოდია მოგვაგონებს მელოდიას ოპერა მინიონიდან, ყველა რეჩიტატივები დაწერილია „სევილიელ დალაქის" რეჩიტატივების მიხედვით).

მუსიკოსი.

რიტმის და პლასტიკის ინსტიტუტი.

საქართველოს სახალხო განათლების კომისარიატმა დაამტკიცა რიტმის და პლასტიკის ინსტიტუტი სრბუი და ლეონ აზარპეტიანებისა (პლასტიკის და სცენიური მეტყველების ყოფ. სტუდია). ინსტიტუტის პროგრამა ორ ფაკულტეტად იყოფა: 1) სცენიური ფაკულტეტი მოცეკვავეთა მომზადება, კურსი სცენიური მეტყველებისა, დრამის, ოპერის და კინოს არტისტებისთვის) და 2) პედაგოგიურ ფაკულტეტი (რიტმის და პლასტიკის მასწავლებელთა მომზადება დელსარტის სისტემით).

ინსტიტუტის კურსი სამწლიანია. მიიღებიან ორივე სქესის პირი 15 წლიდან დაწყებული. ინსტიტუტის კურსდამთავრებულნი იღებენ მოწმობას, რომელიც ანიჭებს მათ წოდებას და უფლებებს სასცენო მოღვაწისას და დელსარტის სისტემით პლასტიკის და რიტმის მასწავლებლისას.

მეცადინეობა სწარმოებს საღამოობით. ყოველი სამოსწავლო წლის ბოლოში იმართება განვლილი კურსის საჯარო დემონსტრაცია.

— **ხელოვნების სასახლეში.** დღეს ხელოვნების სასახლეში გაიმართება სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის სალიტერატურო საღამო. მოხსენებას წაიკითხავს ალ. ქუთათელაძე, ვაჟა-ფშაველა—„გველის მჭამელი" და „მინდიას ტრაღედია". მოხსენების შემდეგ კამათი. შესავალი ბილეთები განსაზღვრულია.

— **ახალი სტუდია.** თავისუფალი ხელოვანის დავითაშვილის ხელმძღვანელობით ტფილისში გაიხსნა ახალი სტუდია „ხმა".

— **კომპოზიტორ მ. იპოლიტოვ-ივანოვის ჩამოსვლა.** ამ დღეებში ტფილისში ჩამოვა კომპოზიტორი მ. იპოლიტოვ-ივანოვი, რომელიც განათლების ს. ს. კომისარიატმა მოიწვია სახ. კონსერვატორიაში პროფესორად.

— **მუშათა ახალი დასი.** პლეხანოვის სახელობის კლუბში, ამ დღეებში მთავარ სახელოსნოს კულტკომისიის მიერ შემდგარი დასი დაიწყებს უფასო წარმოდგენების გამართვას მუშებისათვის.

— **ნაძალადევის თეატრი.** ნაძალადევის მუშათა თეატრში 18 ნოემბერს წარმოდგენილი იქნება „ურიელ-აკოსტა".

— **ჯუღაშვილის სახელობის კლუბი.** ჯუღაშვილ-სტალინის სახელობის კლუბის აშენება ამ დღეებში დასრულდება. კლუბი სრულებიდ მზათ იქნება 1-ლ იანვრამდის.

— **მომღერალთა გუნდი.** პლეხანოვის სახელობის კლუბთან შესდგა მუშა-მოსამსახურეებისაგან მომღერალთა გუნდი. გუნდი სისტემატიურათ მეცადინეობს რევოლიუციონურ და ხალხურ სიმღერების შესასწავლათ.

დღეს თეატრებში

— **სახელმწიფო ოპერა**—„რიგოლეტო".

— **რუსთაველის თეატრი.** მეორეთ „გმირი".

— **სახალხო სახლი**—ლუნაჩარსკის „მეფის დალაქი".

— **პროლეტარულ მწერალთა კავშირში.** ორშაბათს, 19 ნოემბერს ხელოვნების სასახლეში საღამოს 6 საათზე მოხსენებას გააკეთებს ამხ. პ. ქიქოძე შემდეგ თემაზე „ხელოვნების კლასიური ათვისება". შესვლა ყველასათვის უფასოა.

პროვინციაში

სწავლა-განათლების საქმე ახალ-ქალაქის მაზრაში

ახალ-ქალაქის სამაზრო განათლების განყოფილებას თავის მუშაობაში ჰქონდა დასახული მრავალი ამოცანები, რომელთა გადაჭრა ვერ მოხერხდა სავსებით, უმთავრესად ნივთიერ საშუალებათა უქონლობის გამო.

ალმასკომმა წელს მოახდინა მოსახლეობის აღწერა იმ მიზნით, რომ გამოგვერკვია წერა-კითხვის მცოდნეთა საერთო რიცხვი. აღწერის წინასწარი შედეგების მიხედვით, სულ წერა-კითხვის მცოდნეა ახალქალაქის მაზრაში, ქალაქის გამოკლებით, 15,4 პროც. ბავშვებისა სასკოლო ასაკამდე და 25 პროც. სკოლის ჰასაკის. წერა-კითხვის მცოდნე მამაკაცია 31,7 პროც., წერა-კითხვის მცოდნე დედაკაცი 5,2 პროც. მოზარდი თაობა ორივე სქესის 19 პროცენტი.

ახალი რეფორმა სასკოლო ცხოვრებაში გატარებულია.

სასკოლო შენობების შეკეთებაც უკვე დაიწყო და ახლო მომავალში ჩვენ გვექნება სრულიად ახალი და შეკეთებული შენობები. რაც შეეხება სკოლების მოწყობას, ამ მხრივ საქმე ძალიან ცუდათ არის. თითქმის არც ერთი სკოლა მოწყობის მხრივ არ დგას საჭირო სიმაღლეზე, რადგან საამისო თანხა არ მოგვეპოვება.

წელს მოეწყო საბავშვო სახლი. საბავშვო სახლის შენობა უკვე აშენდა. ის ძალიან ფართე და მოწყობილია, და თითქმის ყოველ მხრივ აკმაყოფილებს საბავშვო სახლის მოთხოვნილებას. ბავშვების კვება გაუმჯობესებულია. ბავშვები კარგად არიან ჩაცმულნი.

მაზრაში სულ არის 8 ქოხი-სამკითხველო, ამათში 6 უკვე მოწყობილია. დანარჩენების მოსაწყობად გვაკლია საშუალება. საჭირო თანხა უნდა მოგროვდეს მოსახლეობაში.

მცხოვრებნი დაყოფილი არიან კატეგორიებათ და მათ შეწერილი აქვთ გადასახადი შეძლების მიხედვით.

მასწავლებელი გადამზადების შემდეგ საკმაო ცოდნით შეუდგენ თავიანთ მოვალეობათა ასრულებას. მოწვეულია ოცი ახალი მასწავლებელი, რომლებმაც წელს დაასრულეს საზაფხულოთ მოწყობილი მასწავლებელთა კურსები.

კ. მ.

სად. ზესტაფონი

7 ნოემბერს სად. ზესტაფონში შესდგა მრავალრიცხოვანი მუშა-მოსამსახურეთა კრება, რომელმაც ერთხმათ დაადგინა: ოქტომბრის რევოლიუციის 6 წლის თავის აღსანიშნავად სად ზესტაფონის მუშათა კლუბს, რომლის აგება დაწყებულია, დაერქვას ამხ. სერგო ორჯონიკიძის სახელი.

საქარელი.

სპეკულიანტები უნდა აილაგმონ

ვერის უბანში ამ ბოლო დროს მეტად გამოცოცხლდა არამიანცისეულ სახლის ეზოში მოთავსებული ბაზარი. ჩაიდგა პატარა დუქნები, გაიმართა ყანთარი და სოფლებიდან ჩამოზიდული სურსათ-სანოვაგე პირდაპირ ყანთარზე მოდის, აქ ურმებითა და ფურგუნებით მოაქვთ კართოფილი, კომბოსტო, ლობიო, სიმინდი, ხორბალი, ქათამი, ინდოური, კვერცხი და სხვა.

მაგრამ ერთი გარემოება უკარგავს აზრს მცხოვრებთათვის ამ ბაზრის წინსვლასა და გაჩაღებას.

ეს გარემოება იმაში მდგომარეობს, რომ მადიანი სპეკულიანტები ძველებურის ფანდებით ტყავს აძრობენ ადგილობრივ ხელმოკლე მოქალაქეებს.

ისინი გათენებამდე მიეშურებიან საბურთალოს იქით, თუ წყნეთისაკენ—ახალი სემინარიის იქით, იქვე უსაფრდებიან სანოვაგით დატვირთულ ურმებს, ათასი ლიქნითა და ხრიკებით ხელმოკლეთ იჭერენ სოფლიდან სურსათ-სანოვაგის ჩამომტან გლეხებს, მესამედ ფასში ყიდულობენ და წინ მიუძღვიან მათ ვერის ბაზრისაკენ. აქ კი მსყიდველი ხალხი მიესევა ურმებს და ჩარჩი სპეკულიანტები ერთი-სამად ასაღებენ ჩალისფასად ნაყიდ სანოვაგეს.

ამ გარემოებამ რამდენჯერმე აყალმაყალიც გამოიწვია ვერის ბაზარზე.

საჭიროა ჯეროვანი ყურადღება მიექცეს ასეთ აღვირ-ახსნილობას და აილაგმოს მადიანი სპეკულიანტები.

ვერის მოქალაქე.

მოქ. პავლე შენგელიას

(პასუხად გაზ. „კომ." № 264-ში მოთავსებულ მისი ღია წერილზე).

ჩემს მიერ გაზ. „კომუნისტი"-ს № 257-ში მოთავსებული ცნობები თქვენ არ გეხებათ, არამედ, მოქ. ბესარიონ ალშიბაიას განცხადების თანახმად, შალვა შენგელიას.

მეთვალყურე

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— **საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტის საგიტ.-საპროპაგანდო განყოფილება** გერმანიის ამბების უფრო ღრმა და ყოველმხრივი გაშუქების მიზნით მართავს ყველა მუშათა სარაიონო კლუბებში ლექციათა ციკლს შემდეგი პროგრამით:

1. პოლიტიკური პარტიები გერმანიაში.
2. ეკონომიური მდგომარეობა გერმანიაში.
3. გერმანიის ამბების პროგნოზი.
4. გერმანიის საერთაშორისო მდგომარეობა.
5. ს. ს. რ. კავშირის და გერმანიის ურთიერთ დამოკიდებულების პერსპექტივები.

ამ ლექციათა ციკლის შესასრულებლად ტფ. კომიტეტი მობილიზაციის წესით იწვევს შემდეგ ამხანაგებს: მიასნიკოვს, ტაკოევს, ოკუჯავას მ., მარკარიანს არშ., დუბენკის, კასიანს, ერქომაიშვილს, ესენს, სურხატიანს, ნოვიკოვს, ვირაპს, კოსტანიანს და გლისაბდაშვილს, რომლებსაც წინადადება ეძლევა შემოვიდენ წინასწარ სათათბიროთ ტფილისის კომიტეტში ორშაბათს 19 ნოემბერს, დილის 11 საათზე.

ტფ. კომიტეტის საგიტ.-საპროპ. განყოფილების გამგე მ. ესსენი.

— **საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტი** წინადადებას აძლევს ქვემოთდასახელებულ ამხანაგებს შემოვიდენ ტფ. კ—ის სააღრიცხვო-სტატისტიკურ ქვეგანყოფილებაში ორშაბათს ამა ნოემბრის 19-ს დილის 9 საათზე.

კანდრატიუკი ივანე, მოროზი სერგეი, დავიდოვიჩი ნიკოლოზ, რადომ მიხეილ, კორეიკო ანტონინა, კურგან ელენა, ვასილიუკი ნიკოლოზი, მალიონევი ვლადისლავი, ოლშევსკი ვლადიმერი, ხრუცკი ვლადიმერი, აბგაროვისა ელენე, ზაკრჟევსკი ბოლესლავი, გოშჩინსკი სტანისლავი, ბატაიტის ბოლესლავი, სტოლიარჩუკ მიხეილავი, კერხშტეინი გიტა.

ტფილისის კომიტეტის მდივანი რუბენი.

— **საქართველოს კომუნისტური პარტიის ტფილისის ორგანიზაციის მე-IV საუბნო კომიტეტი** იუწყება, რომ ორშაბათს, 19 ნოემბერს, საღამოს 5 საათზე რუსთაველის თეატრში მოხდება.

მე-IV უბნის ყველა წევრთა და კანდიდატთა საერთო კრება.

დასწრება სავალდებულოა

15 წუთით დაგვიანებულ ამხანაგებს რეგისტრაციაში აღარ გაატარებენ.

პასუხისმგებელი მდივანი ხაცკევიჩი.

— **საქართველოს კომუნისტური პარტიის ტფილისის ორგანიზაციის მე-2 საუბნო კომიტეტი** იუწყება, რომ ქვემოხსენებულმა ამხანაგებმა განცხადება შემოიტანეს საუბნო კომიტეტში კომუნისტურ პარტიაში ჩარიცხვის სურვილის შესახებ.

მე-2 საუბნო კომიტეტი სთხოვს ყველა ამხანაგებს და პირთ, რომელთაც რაიმე საწინააღმდეგო საბუთები აქვთ ხსენებულ ამხანაგების წინააღმდეგ, 17 ნოემბრამდე წარმოუდგინონ შესაფერი მასალები საუბნო კომიტეტში (პლეხანოვის ქუჩა № 95) 1, კრივონოსოვი—ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის შოფერი.

2. კელლერი ანდრეი—ინტელიგენტი—მიხეილის საავადმყოფოს მოსამსახურე.
3. ალაჯანოვი ართავაზდი—მეჩექმე—შეგირდი ჩოპინოვისა.
4. შენგელია იოკიმე—ინტელიგენტი—კომუნ. ახალგ. კავშირის ცენტრალურ კომიტეტის მოსამსახურე.

მდივნის მაგიერ ნაზაროვი.

ყველა რაიკომებს

— ორშაბათს 19 ნოემბერს საღამოს 7 საათ. განათლების მუშაკთა სახლში შესდგება ამხ. კლინიცკის პირველი ლექცია თანამედროვე პროფმოძრაობის ძირითად საფუძვლებზე".

კურსის მოსმენა სავალდებულოა ადკომის ყველა წევრებისათვის. სასურველია დელეგატების დასწრებაც.

კავშირის პ. | მდივანი შავერდოვისა.

— დღეს, ნაშუადღევის 1 საათზე ტფილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში **მოხდება თათბირი საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოების საორგანიზაციო კომისიისა.**

დღის წესრიგი: 1. პრეზიდიუმის მოხსენება. 2 საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოების წევრთა საზოგადო კრების მოწვევა და 3. მიმდინარე საქმეები.

სავალდებულოა დასწრება საორგანიზაციო კომიტეტის ყველა წევრებისა.

კომისიის თავმჯდომარე მ. ესსენი.

— ორშაბათს, 19 ნოემბერს, დილის 10 საათზე შესდგება საქართველოს კომუნისტური პარტიის ტფილისის კომიტეტის **საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების კოლეგიის თათბირი.**

დღის წესრიგი: 1. კლუბებში მუშაობა. 2. გერმანიის ამბების გამო კამპანიის მოწყობა. 3. მიმდინარე საკითხები. მოიწვევიან გამგენი საუბნო კომიტეტთა საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებისა, საქართ. კომუნ. პარტ. კომუნ. ახალგ. კავშირისა, ტფილისის კომიტეტის ქალთა განყოფილებისა, საქართველოს პროფკავშირთა [illegible] და კავკასიის ცალკე არმიის პოლიტ-სამმართველოსი.

ტფილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების [illegible]

— **საქართველოს კომუნისტური პარტიის ტფილისის ორგანიზაციის მე-4 საუბნო კომიტეტი** იუწყებ, რომ შაბათს, 17 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე მოხდება **მე-4 საუბნო კომიტეტის მდივანთა თათბირი** (საუბნო კომიტეტის ბინაზე),

დღის წესრიგი: 1. პოლიტ-ცოდნის სკოლის დაარსების საკითხი. 2. საუბნო პარტ-სკოლის დაარსების საკითხი.

პასუხისმგებელი მდივანი ხაცკევიჩი.

საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგე არუსტანოვი.

— **საქართველოს კომუნისტური პარტიის ტფილისის კომიტეტის** საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება წინადადებას აძლევს ამხ. იობაძეს, შაბათს 17 ნოემბერს, ნაშუადღევის 4 საათზე შემოიაროს პირველი საუბნო კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში მოსალაპარაკებლად.

ტფილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგე მ. ესსენი.

— კვირას, 18 ნოემბერს, დილის 9 საათზე, ავჭალის სარაიონო პარტ-სკოლის შენობაში, სოფ. ქვემო-ავჭალაში დანიშნულია **საქართველოს კომუნისტური პარტიის ავჭალის რაიონის წევრთა და კანდიდატთა საერთო კრება.**

დღის წესრიგში დასმულია შემდეგი საკითხები: 1. მოხსენება ამხ. ა. გოლდბაუმისა—საქართველოს კომპარტიის ამოცანები. 2. მოხსენება საქ. კომ. პარ. ავჭალის რაიონის პარტიულ კომიტეტისა თავისი მოღვაწეობის შესახებ. 4. არჩევნები ს. კ. პ. ავჭალის რაიონის პარტიული კომიტეტისა. 4. მიმდინარე საკითხები.

პარტიული დისციპლინის წესით, დასწრება სავალდებულოა საქართ. კომუნ. პარტ. ავჭალის ყველა რაიონების წევრებისა და კანდიდატებისა.

საქართ. კომ. პარტ. ავჭალის რაიონის **პარტიული კომიტეტის მდივანი.**

[illegible]

საქართველოს კომუნისტური პარტიის ტფილისის კომიტეტის ბიბლიოთეკა სთხოვს ყველა ამხანაგებს, რომლებმაც თავის დროზე არ დააბრუნეს სამკითხველოში წაღებული წიგნები, დაუბრუნონ ისინი ბიბლიოთეკას არა უგვიანეს 20 ნოემბრისა ნაშუადღევის ორი საათიდან საღამოს 7 საათამდი.

ბიბლიოთეკის გამგე პავლენკო

განათლების მუშაკთა სახლში.

— შაბათობით საღ. 6 საათ. პრაქტიკული მეცადინეობა მინერალოგიაში პროფ. თვალჭრელიძის ხელმძღვანელობით.

— სამშაბათს, 20 ნოემბერს, საღ. 7 საათ. ისტორიულ მატერიალიზმის წრის მეცადინეობა ამხ. გეკერის ხელმძღვანელობით.

განათლების მუშაკთა სახლის გამგე შიუკაშვილი.

კავშირის საქმეთა მმართველი ბარამიძე.

განცხადებები

მიმდინარე 13 ნოემბრიდან **გახსნილია**
საქალაქთაშორისო ტელეფონების მოქმედება
ტფილის-ვლადიკავკავს შორის, რომლითაც შეუძლიან
ისარგებლოს ყველა მოქალაქემ.

738—1—1

ს. ს. რ. საქართველოს მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატი აცხადებს, რომ დღის 12 საათზე 4 დეკემბრისა, მიწათ-მომწყობის და საძოვართა განყოფილებაში (სასამართლოს ქუჩა, 32)

დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

თევზის დაჭერის უფლების საიჯაროთ გაცემაზე

მდებარე ტფილისის და ბორჩალოს მაზრებში მტკვრის, ხრამის, მაშავრის და დებედაჩაის მდინარეებში ვადით 1924 წ. იანვრის 1-დან 1925 წ. იანვრის 1-მდე.

სათევზაო ადგილების იჯარით გაცემის შესახებ დაწვრილებითი ცნობების განხილვა შეიძლება ყოველ დღე, გარდა კვირა-უქმისა, ზემო აღნიშნულ განყოფილებაში, დღის 12-დან 3 საათამდე.

151—3—1

სახლი თავისუფალი ბინებით საჩქაროთ და იაფად იყიდება. ვისაც სურს იყიდოს და გაყიდოს უნდა მიმართოს მამა-დავითის ქუჩაზე № 3, ბინა 2. დილის 11—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

— **გაყიდვა განახლდა** —

160—1—1

ელექტრონის და სინათლის

სამკურნალო

საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ.

სამკურნალო სწარმოებს **ექ. სვიმონ უფუშიძის** ხელმძღვანელობით. ტფილისი, გორდანოვის ქ. № 20. (126—25—7)

სამკურნალო კაბინეტი

ექიმი მ. მ. მეგრაბიანცისა

რენტგენის ელექტრო-სხივებით და სინათლით ექიმობა

ყოველ დღე 9—1 ს. და 6—8 ს. სად. ზებუთოვის ქუჩა № 23.

78 25—18

დაიკარგა საარიცხვო ბარათი № 389 დათიკო იაკობის ძე კატაპარიაშვილი. ჩაითვალოს გაუქმებულად. 158—1—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა მიღებული მილიციის უფროსის მიერ № 30.950 და სარეგისტრაციო ბარათი № 303 | 96 ტატევოს ვართანის ძე სირუმიანცის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 159—1—1

გამოვიდა და იყიდება ყველა გაზეთის გამყიდველებთან ტფილისში და პროვინციაში

№ 13

ორკვირეული იუმორისტული ჟურნალი

„ნიანგი".

1—1

ამიერ-კავკასიის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების გაერთიანებულ რკინის-გზათა

სამმართველო

აცხადებს, რომ 1923 წელს 1 დეკემბერს ამიერ-კავკასიის რკინისგზათა სამმართველოსთან (ტფილისი სადგურის ქუჩა № 1) დანიშნულია კონკურენცია, **რომლითაც იჯარით გაიცემა ერთი წლის ვადით საქართველოს და აზერბეიჯანის რკინისგზის ხაზის სადგურებზე** ტვირთების და ბარგების გადატვირთვა, გადმოტვირთვა და დატვირთვა, ტვირთების შენახვით, აგრეთვე მტვირთავების მიერ მგზავრებისათვის სამსახური.

ის პირები, რომელთაც სურთ ამ სამუშავოების მიღება, აძლევენ წერილობითი განცხადებებს, სალერბო გადასახადის შეტანის აღნიშვნით, დახურულ კონვერტებში, რომლებზედაც უნდა იყოს შემდეგი წარწერა: **„ამიერ-კავკასიის გაერთიანებულ რკინისგზათა სამმართველოს კონკურენციისათვის სატვირთო სამუშაოს საჯარიმოებლათ".**

განცხადებებში, გარდა სახელის, მამის სახელისა და გვარისა, უნდა აღინიშნოს ამ სამუშავოთა წარმოების პირობები და ფასი ასეთებზე, მაგალითად ფუთის დატვირთვაზე, გადმოტვირთვაზე და გადატვირთვაზე.

დაცვას, ფულით პასუხისმგებლობის, რომელთაც კისრულობს მთხოვნელი, თვალყურს ადევნებს უშუალოთ თვითვე, აგრეთვე ის პასუხისმგებელია ჩაბარებულ ტვირთების და ბარგის შენახვისათვის დღიდან ასეთების მიბარებისა პატრონისათვის გადაცემამდე.

განცხადებებს თან უნდა ახლდეს კვიტანცია. რკინისგზის ერთ-ერთ სალაროდან, ძირითადის 20 პროცენტის რაოდენობით წინასწარი გირაოს შეტანის შესახებ (ჩერვონცებით).

კონკურენციით გასაცემი სამუშავოები დაყოფილია შემდეგ უბნებით **საქართველოში:** პირველი—ბათომიდან საჯევახომდე (გირაო 3,000 მ. ჩერ.); მე-2-ე—ფოთიდან აჯამეთამდე (გირაო—3,000 მ. ჩერვ); მე-3-ე—სჯირიდან სკრამდე (3,000 მ. ჩერ.); მე-4-ე—გორიდან ავჭალამდე, კახეთის შტო და სადგურები ყარაიაზიდან სადახლომდე (2,000 მ. ჩერ.); მე-5-ე—ტფილისი და ნავთლუღი (15,000 მ. ჩერ.); ტფილისში ბარგის და აგრეთვე მგზავრებისათვის სამსახურის სამუშავები გაიცემა ცალკე (გირაო—7,000 მ. ჩერ.)

აზერბეიჯანი: პირველი უბანი—ფოილოდან განჯამდე (გირაო 4 000 მ. ჩერ.); მე-2-ე—ზაზალიდან ევლახამდე (2,000 მ. ჩერ.); მე-3-ე—ლიაკიდან აჯიყაბულამდე (2,000 მ. ჩერ.); მე-4-ე პირსაბატიდან ეიბატამდე (500 მ. ჩერ.); მე-5-ე ბაქო მე-2-ე, ბალაჯარი, საბუნჩი-სურახანი 20,000 მ. ჩერ.); მე-6-ე ბაქო პირველი (7,000 მ. ჩერ.); 7-ე ხურდალანიდან არაბლინკამდე (3,500 მ. ჩერ.)

იმ პირებს, რომელთაც არ მიეცემათ სამუშავო, დაუყონებლივ უბრუნდებათ წინასწარი გირაო.

ძირითადი გირაო შეიძლება ნაწილ-ნაწილით იქნეს შეტანილი სამმართველოს განკარგულებით.

დაწვრილებითი ცნობების მიღება კონკურენციის პირობების შესახებ შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმე დღეებისა, სამსახურის ეკონომიური ნაწილის საქონლის სადგურის განყოფილებაში 10-დან დღის 1 საათამდე.

განცხადების მიცემის უკანასნელი ვადა სრულდება 1923 წ. 1 დეკემბერს დღის 12 საათზე.

კრ. 737 3—1

„ზარია ვოსტოკა" სტამბა სამ. წულუკიძის ქ. № 4.